წელიწადი მესამე — ფასი 7 კაპ. — სამშაბათი, 25 აპრილი, 1917 წ.

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ ფიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის აღრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, почт. ящикъ № 76

ტელეფონი 15—73

ანცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ერირება 50 კ., 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ: ზომით 15×2 ერირს 6 მ.; 20×2 ერირს 8 მ., 25×2 ერირს 10 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ერირ. მეტი დამატებანი № ერირს ყველგან 10 კაპ.

№ 88 — ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი — № 88

გაზეთი
„საქართველო“
ღირს:
მთელის წლით—15 მ., 1/2 წლით—9 მ., 3 თვით—5 მ., 1 თვით—1 მ. 80 კ.

წლიურ ხელის მოწერის ფასი შეიძლება ნაწილ-ნაწილად იქნას გარდახდილი შემდეგის წესით: ხელის მოწერის დროს—7 მ.; 1 მარტისთვის 5 მ. ⅆ 1 ივნისისათვის 3 მ. მისამართის გამოცვლისათვის ქალაქგარეთელმა ხელის მომწერმა უნდა წარმოადგინოს 50 კ. ფოსტის მარკით.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76 (почт. ящикъ № 76).

კანტორა ღია: დილით 9—3 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე.

1 აპრილიდან წლის ბოლომდე გაზ. „საქართვ.“ ერირება 11 მ.—25 კ.

ვისაც სურს ხელისმოწერის ფასის განაწილებით ისარგებლოს, ხელის მოწერისათანავე 5 მ. 75 კ. უნდა წარმოადგინოს, დანარჩენი კი 1 მარტს და 1 ივნისს, უკვე გამოცხადებულის საერთო წესის მიხედვით.

რედაქტორი: გრიგოლ ვეშაპიძე.

გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო“.

ბლაღოჩინი მღვდელი პანტელეიმონ გედეონ-ს ძე, დიმიტრი, ნინა და სერგო **გედევანიშვილები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს განსვენებულისას, რომ 23 აპრილს გარდაიცვალა ხანგრძლივი ავადმყოფობისაგან მათი საყვარელი და დაუვიწყარი, პირველის შვილი ხოლო დანარჩენებისა და

მაპრინე პანტელეიმონის ასული

გედევანიშვილი

დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 27 აპრილს, სოფელ კავთისხეევში.

(1—618—1)

უზომოთ დამწუხრებულნი მშობელნი თინათინ გიორგის ასული და დავით ილარიონის ძე **ფორაქაშვილები** განუსაზღვრელს მადლობას უძღვნიან ნათესავთ, მეგობართ და ამხანაგებს—ვინც პატივი სცეს პირადის დასწრებით, დეპეშებით ანუ წერილებით მათ ძვირფას შვილის

ილარიონის (ილო)

გარდაცვალებას.

(1—617—1)

ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირი.

აპრილის 30, 1917 წლისა, ახალ კლუბის შენობაში დანიშნულია ქართულ თეატრის მსახიობთა ყრილობა

საპროფესიო კავშირის

დასაარსებლად.

სხვა ქალაქებში მყოფ ქართველ მსახიობთ, რომელთაც ოდესმე უმსახურნიათ ან ეხლა მსახურობენ ქართულ თეატრში, ვთხოვთ ამ დღისათვის მიუცილებლად ჩამოვიდნენ ქ. თბილისს.

ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲓᲦᲘᲡ 11 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ.

რჩეულნი: ანდრონიკაშვილი კ., დადიანი შალვა, შალიკაშვილი ვალ.

(6—661—1)

შაბათს, 29 აპრილს, ნაშუადღევის პირველ საათზედ

სახელმწიფო თეატრში

დანიშნულია

საზეიმო ეროვნულ-კულტურული კრება

ვალერიან გუნიას

პატივსაცემად და 35 წლის მოღვაწეობის საჯაროდ აღსანიშნავად

სამწერლო, სასცენო და საზოგადო ასპარეზზედ.

1882—XXXV—1917

დაწვრილებით პროგრამა ცალკე გამოცხადდება.

ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის კასაში.

საზეიმო კრების მომწყობნი { ქართული დრამატ. საზოგადოების გამგეობა, საჯარო პატივცემის მომწყობი კომიტეტი და ქართველ მსახიობთა კორპორაცია.

ᲘᲛᲐᲕᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲘᲛᲐᲕ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ

საღღესასწაულო წარმოდგენა

(12—645—7)

ამიერ-კავკასიის საოლქო სამხედრო-სამრეწველო კომიტეტი აცხადებს, რომ კომიტეტისთვის

საჭიროა წითელი ღვინო

პარტიულად.

სამრეწველოებს და კერძო პირთ, ვისაც სურს მოგვაწოდოს ღვინო, ვთხოვთ გვაცნობონ წერილობით; აღნიშნულ უნდა იყოს ღვინის ფასი (ბურჟლით), და სადგური საიდანაც გზავნება ღვინო. ღვინის ნიმუშიც გამოგზავნილ იქნნას ნივთეულობის საწყობის განყოფილებაში, ამიერ-კავკასიის საოლქო სამხედრო-სამრეწველო კომიტეტში, ვერის დაღმართი № 12, სახლი ანანოვისა.

(3—659—2)

საათოვის კომიტეტი
საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული
პარტიისა

აცხადებს პარტიის წევრთა და თანამოაზრეთა საყურადღებოთ, რომ

პარტიაში ჩაწერა

და

სარეგისტრაციო კვიტანციების მიღება შეიძლება:

1) **ნოტარიუს ან. ქარცივაძის კანტორაში** (მარინეს პროსპექტი), სადაც მოთავსებულია მთავარი სარეგისტრაციო ბიურო.

2) **ვლადიმერ რუხაძეთან** (ქუთაისის ქუჩა, სარკინიგზო მაღაზია).

3) **გიორგი ელიავასთან** (ქალაქის თვითმართველობაში).

ამავე პირებთან მიიღება პარტიულ ლიტერატურაზე ხელის მოწერა და შემოწირულება.

მივიღეთ ფრანგულ აგრეშუმის ჭიის თესლი
ცნობილ ფირმებისა

ᲑᲔᲠᲗᲔᲡᲘ

და

ᲩᲕᲔᲜ ᲛᲘᲔᲠ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲐᲓ ᲨᲔᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘ ᲝᲗᲮᲙᲣᲗᲮᲘᲐᲜ ᲙᲝᲚᲝᲤᲝᲜᲔᲑᲖᲔ.

კოლოფებზე გამოხატულია სამფეროვანი ფრანგული ბაირაღი და შავი არწივი ყვითელ ფონზე. მიმართეთ: **ტ. ს. მირზაიანცს**, თბილისი, განოვის ქ. № 8.
ტელეფონი 13—58. ტელეგრამით ტიგრან მირზაიანცს, თბილისში.

(10—576—9)

ᲔᲥᲘᲛᲘ

მ. გ. ᲕᲔᲤᲮᲕᲐᲫᲔ

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რახიეზდის ქუჩა, № 19.

ᲒᲝᲚᲝᲒᲝᲜᲘᲡ ᲞᲠ. ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲥᲣᲩᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔᲨᲘ, ᲤᲝᲡᲢᲐ-ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲒᲐᲜᲗᲡᲜᲔ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲤᲗᲘᲐᲫᲔ

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲐᲡᲘᲛᲓᲔᲓᲘᲐᲜᲘᲡᲐ

ᲔᲥᲘᲛᲘ

ე. ლ. ᲤᲐᲚᲐᲛᲖᲔᲠᲘᲫᲔ

იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

ᲔᲥᲘᲛᲘ

ᲘᲕᲐᲜᲔ ᲗᲘᲪᲐᲜᲐᲫᲔ

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18.
ტელეფონი № 11—82.

ᲔᲥᲘᲛᲘ

მ. Ფ. ᲛᲖᲐᲚᲝᲒᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: ოლდას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—53.

ᲔᲥᲘᲛᲘ

მ. Ი. ᲕᲐᲩᲜᲐᲫᲔ

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს ᲛᲔᲠᲕᲔ ... **ᲓᲦᲔ, ᲙᲕᲘᲠᲐ-ᲮᲣᲗᲘ** ... **საღამოს 5—7 საათამდე, ᲒᲣᲚᲘᲜᲘᲡᲙᲘᲡ Ქ. № 4.**

(თ.—202—)

თბილისი, 25 აპრილი.

რუსეთის იმპერიალისტები და ზავი

უმჯობესია საგნებს თავისი ნამდვილი სახელები ვუწოდოთ. იმას რაც ამ ბოლო დროს პეტროგრადში ხდება სამოქალაქო ომის დასაწყისი ჰქვიან. მართალია ჯერ მხოლოდ მთავრობის მომხრეებისა და მთავრობის მოწინააღმდეგების მანიფესტაციები ხდება, მაგრამ ადვილი შესაძლებელია ეს მანიფესტაციები სისხლის მღვრელ შეტაკებებში გადავიდეს, თუ დროებით მთავრობასა და მუშათა და ჯარის-კაცთა საბჭოს შორის ფულწრფელი და საბოლოო შეთანხმება არ მოხდა.

გულუბრყვილობა იქნებოდა რომ, ამ მხრივ გადაჭარბებულ ოპტიმიზმს მივცემოდით. მდგომარეობა უეჭველად რთული და სახიფათოა. მდგომარეობას ართულებს არა მარტო ის გარემოება, რომ დღეს რუსეთს არსებითად ორი ერთი მეორისაგან დამოუკიდებელი ძალა განაგებს: დროებითი მთავრობა და მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები, არამედ ის მოვლენაა, რომ მთავრობისა და რევოლიუციურ საბჭოებს შორის წინააღმდეგობა აღმოჩნდა ომისა და საგარეო პოლიტიკის საკითხში. ეს საკითხები კი თანამედროვე რუსეთში უპირველეს როლს თამაშობენ.

გავიხსენოთ ვაჭრები. 14 მარტს პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ მთელი ქვეყნის ერებს მოწოდებით მიმართა და უანექსიო, უკონტრიბუციო ზავი მოითხოვა. ჯარი და მუშათა კლასი რუსეთის რევოლიუციის უმთავრესი მამოძრავებელი ძალაა. ამიტომ გასაკვირალი არ არის, რომ დროებითი მთავრობა იძულებული შეიქმნა 27 მარტის დეკლარაციაში დაპყრობითი ომის მიზნები უარეყო და ერთა თვითგამორკვევის პრინციპი აღიარებინა.

მაგრამ პეტროგრადის მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს მიმართვამ გავლენა იქონია არა მარტო რუსეთის მთავრობასა, არამედ საერთაშორისო დემოკრატიაზეც. ავსტრია ჰუნგრეთისა და გერმანეთის სოციალდემოკრატია გამოეხმაურა რუსი დემოკრატიის მოწოდებას. ცენტრალურ ევროპის იმპერიებში კი სოციალდემოკრატიულ პარტიას ძლიერ დიდი გავლენა აქვს ამ ბოლო დროს. სტოკჰოლმიდან მოსული ცნობის მიხედვით გერმანეთის სოციალდემოკრატიის ცენტრალურმა კომიტეტმა ერთხმად სრული თანაგრძნობა გამოუცხადა რუსი დემოკრატიის მოწოდებას. ამგვარად მომზადდა ნიადაგი სისხლის ღვრის შესაწყვეტად და საპატიო ზავის ჩამოსაგდებად.

მაგრამ სწორედ აქ აღმოჩნდა ორმაგი მმართველობის საფრთხე. აღმოჩნდა რომ დროებითი მთავრობა მხოლოდ სიტყვით უარჰყოფს იმპერიალისტურ მიზნებს, გულის იდუმალ სიღრმეში კი წარსულ დროთა მოგონებებს ასაზრდოებს. ყოფილი კადეტების ეხლანდელი რესპუბლიკელ-დემოკრატების პარტიულს კრებაზე დროებით მთავრობის წევრმა როდიჩევმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ომისა და საგარეო პოლიტიკის შესახებ. ამ მიკიბულ-მოკიბული სიტყვის დასკვნა შემდეგი იყო: ჩვენ გვინდა არა კონსტანტინოპოლი, არამედ სრუტეები, ჩვენ გვინდა არა პოლონეთის, გალიციის და სომხეთის შემოერთება, არამედ მათი თავისუფალი შეკავშირება რუსეთთან“. უეჭველია რომ აქ გამოთქმული სურვილები ომის დაუსრულებლივ წარმოებას გულისხმობს, მიტომ რომ რუსეთი სრუტეებს საკმაოდ დაშორებულია, ნებაყოფლობით კი მტერი მის დათმობას არ ფიქრობს.

ერთმა გარემოებამ გაათამამა რუსის იმპერიალისტები. მათ ერთგული მოკავშირეები იპოვეს ინგლისის და საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენლებში. დასავლეთ ევროპის მებრძოლმა იმპერიალიზმმა იჭის თვალით შეხედა რუსი დემოკრატიის სამშვიდობო აგიტაციასა და მოღვაწეობას. საფრანგეთის პრემიერ მინისტრი რიბო და ინგლისის სამინისტროს წევრი ბონარ ლოუ იქამდის გაკადნიერდნენ რომ აშკარა თანაგრძნობაც კი გამოუცხადეს ტახტიდან გადაგდებულ ნიკოლოზ მეორეს. უეჭველია აგრეთვე რომ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობა ერთგვარ ძალმომრეობასაც არ ერიდება რომ რუსეთის დროებითი მთავრობა ძველს იმპერიალისტურს გზაზე ატაროს. სატახტო გაზეთებში აშკარად გამოითქვა ინგლისის მუქარა: ის დემოკრატიულ რუსეთს თავისი მოკავშირის, იაპონიის შემოსევით აფრთხობს.

ასეთ პირობებში ადვილი ასახსნელია რუსეთის საგარეო მინისტრის მილიუკოვის ნოტა, რომელიც მას 18 აპრილს დაუგზავნია მოკავშირე სახელმწიფოებისთვის. მილიუკოვი თავის თავსაც აშოშმინებს და თავის მეგობარ იმპერიალისტებსაც. ის აცხადებს რომ „რუსის ერი საბოლოო და გადამწყვეტს გამარჯვებისკენ მიისწრაფის მსოფლიო ომში“.

ჩვენმა მკითხველმა კიდეც იცის რა მოჰყვა ამ ნოტას. მან გამოიწვია პეტროგრადის რევოლიუციური ჯარის აღშფოთება, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს გულისწყრომა. მთავრობა იძულებული გახდა ხელახლა დაეთმო და საგანგებო დამატებითი ნოტები უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის მოთხოვა გაემეორებინა. მაგრამ ამით კონფლიქტი სავსებით არ ამოწურულა. თავისი ორეულოფული ყოფაქცევით ლიბერალურმა დროებითი მთავრობამ იეკვი და უნდობლობა შეიტანა რევოლიუციური დემოკრატიაში. ახლა საეჭვოა რომ მილიუკოვებმა და გუჩკოვებმა დაამტკიცონ, რომ ისინი იმპერიალისტურ პოლიტიკას უარჰყოფენ არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც. წინააღმდეგ შემთხვევაში სამოქალაქო ომი ფაქტად იქცევა და ასპარეზი გაუნთავისუფლდება საშიშს იაკობინელს, რომლის სახელიც დღეს ყველას აკერია პირზე: ესაა ლენინი.

კოალიციური სამინისტრო თუ ორმართველობა?

რუსეთის პოლიტიკური დღის ცენტრად პეტროგრადში მომხდარი ამბები გახდა. ბურჟუაზიული მთავრობა და სარევოლიუციო დემოკრატია პირისპირ შეხვდენ ერთმანეთს და ამ შეხვედრამ რევოლიუცია თითქოს გასაცდელშიაც კი ჩააყენა. ჯარის, პროლეტარიატის და ბურჟუაზიის შეთანხმებული კავშირი, რომელმაც ძველი რუსეთი პეტრეპავლეს ციხემდის მიიყვანა, თითქოს დროებით დაიშალა და სამოქალაქო ომისთვის ველის გაწმენდა დაიწყო.

მაგრამ, საბედნიეროთ, რუსეთის დემოკრატიის მეთაურების სახელმწიფოებრივმა გონებამ და ტაქტობამ რევოლიუციის კრიზისი კეთილად გაატარეს.

ჩხეიძემ და რამიშვილმა აუცილებლად სცვნეს დროებითი მთავრობის თავის ადგილზედ ყოფნა და მართველობა და მისი პოლიტიკა იცვნეს და მხარი დაუჭირეს.

გამოირკვა ისიც, რომ საბედისწერო ინციდენტი გამოიწვია იმან, რომ დემოკრატიის ბელადებმა არ იცვნეს მთავრობის მამოქმედებელი მოტივები და საკმარისი იყო ერთი საიდუმლო დეპეშის ჩვენება, რომ ყველასათვის ნათელი ყოფილიყო დღევანდელი მთავრობის პოლიტიკა. ეს ფაქტი ფრიად დამაფიქრებელი და მნიშვნელოვანია. დღევანდელი რუსეთის სარევოლიუციო წყობილებას ორ მთავრობიანი საბერავი აკრავს, რომელიც მრავალ გაუგებრობას და უთანხმოებასაც ჰბადებს. იმ დროს, როდესაც სახელმწიფოს მართველობს სრულყოფილი და უმაღლესი უფლებებით აღჭურვილი ორგანო, როგორიც არის დროებითი მთავრობა, მოქმედებს მეორე ორგანო, მუშათა და ჯარის კაცთა საბჭო, რომელიც ერთსა და იმავე დროს არის მხოლოდ სარევოლიუციო დემოკრატიის ორგანო, უწევს კანტროლს დროებით მთავრობას, სცნობს მას ერთად ერთ მართველობათ და კიდეც ექიშპება მას სახელმწიფოს გამგებლობაში.

ასეთი მდგომარეობა, რასაკვირველია მათ ერთი მეორისაგან საგრძნობლად აშორებს და ისეთ უთანხმოებასაც კი ბადებს, რომელიც „რევოლიუციას განსაცდელში აგდებს“. მთავრობის მდგომარეობას ფრიად აყალბებს ისიც, რომ მას მხოლოდ სახელმწიფო სათათბიროს სანქცია აქვს და დემოკრატიის ნათელი და მტკიცეთ გამოთქმული ნდობა არ ამაგრებს.

მართალია მუშათა საბჭოს მიერ იყვენ გამოტანილი შესაფერი ნდობის რეზოლიუციები, მაგრამ ისინი ისეთი ბუნდოვანი და გაურკვეველი არიან, რომ მთავრობის პოზიციას სრულებით ვერ ასწორებენ.

მაგრამ საბჭოსაც ხომ არ შეუძლია თავის თავი რუსეთის მთავრობათ აღიაროს?

თეორიულად უპარტიო დემოკრატიის ორგანოდ მყოფი, ფაქტიურად იგი ხომ კლასური და პარტიული სოციალ-დემოკრატიული ორგანოა და როგორც ასეთს, მთელი რუსეთის ნდობა არ ექნება.

მაშასადამე არჩევანის მოხდენა მათ შორის ყოველად შეუძლებელია და სხვა გამოსავალი უნდა მოიძებნოს და ეს გამოსავალი კოალიციურ სამინისტროს შედგენაშია.

სარევოლიუციო დემოკრატიის წარმომადგენლებმა ხელი უნდა მისცენ ბურჟუაზიის წინამძღოლთ რუსეთის მართვა-გამგებლობის საქმეში და მთელი პასუხისმგებლობა თანაბრად უნდა თავს იდვან.

რუსეთის სოციალისტებმა მაგალითი უნდა აიღონ თავის ფრანგ და ბელგიელ ამხანაგებისაგან, რომლებმაც უშიშრათ აიღეს ხელში მძიმე სამინისტრო პორტფელები, ერის თავდაცვაზედ რომ დადგა კითხვა.

ერთი მათგანი ალბერტ ტომა დღეს მათ გვერდით უდგას და საფრანგეთის მტრობასაც ეწევა.

რუსებში კი ეს ჯერ მხოლოდ რუსეთის რევოლიუციის ყველაზედ აღტაცებულმა და თავდადებულმა გმირმა კერენსკიმ იგრძნო და შეიძლება ეს იყოს მისი უდიდესი ღვაწლი რუსეთის ერის წინაშე.

რუსეთის დემოკრატიის კონტროლი, რომელიც დღეს იგი მთავრობას უწევს, უფრო გაადვილდება, თუ მისი წარმომადგენლები მართველობის სათავეში ჩადგებიან და გავლენაც მათი უთუოდ გაორკეცდება.

დღევანდელი მდგომარეობის გაგრძელებით კი მისი კონტროლი სრული ვერასოდეს ვერ იქნება, რადგან მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯთან მას მარტო factum ექნება საქმე და ასეთი მდგომარეობა მუდამ ისეთ, უთანხმოებას შექმნის, როგორიც ეხლა მოხდა.

დღევანდელი მდგომარეობა კი, რომელიც აორებს რუსეთის სარევოლიუციო ძალებს და ერთი მეორეს უპირდაპირებს, შეუძლებელია, რომ გაგრძელდეს. რუსეთის დემოკრატიამ ან თვით უნდა აიღოს მართველობის საჭანი ხელში და დიქტატურა გამოაცხადოს, ან და თავის სამინისტროში შესვლით გააძლიეროს დროებითი მთავრობა და მით შექმნას ერთი მთლიანი და მტკიცე მართველობა.

ლ. ჯაფარიძე.

რევოლიუცია

დეკეშები

მოძრაობა პეტროგრადში.

პეტროგრადი, აპრილის 21. დღეს შეიკრიბნენ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტის წევრები დროებით მთავრობის ნოტის შესახებ თავიანთ აზრისა და შეხედულების გამოსარკვევად. სხდომის დროს მოვიდა ცნობა, რომ ვიბორგის მხრიდან და ნოვოე სელოდგან შუაგულ ქალაქისაკენ მოეშურება მუშათა მრავალ-რიცხოვანი ბრბო, რომელთაც მუშაობისათვის თავი დაუნებებიათ და დროებით მთავრობის გადადგომას მოითხოვენო. აღმასრულებელმა კომიტეტმა მაშინვე მიიღო ზომები მანიფესტანტების ქარხნებშიც დასაბრუნებლად, რათა ახალ მთავრობის მომხრეთა და მათ შორის შეტაკება არ მომხდარიყო. ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა ცნობა მანიფესტანტთა შეჯახების შესახებ. მოხდა შეტაკება ნევის პროსპექტზე, ეკატერინეს არხის მახლობლად. შეტაკებაში მონაწილეობა მიიღეს მუშებმა და უიარაღო სალდათებმა. მუშების დროშას ეწერა: „ძირს დროებითი მთავრობაო“. დროებითი მთავრობის წომხრე ჯარისკაცნი არწმუნებდნენ მუშებს, საჭიროა დროებით მთავრობას მხარი დავუჭიროთო. ჯარისკაცებმა დროებითი მთავრობის საწინააღმდეგო პლაკატების ხევა დაიწყეს. შეიარაღებულმა მუშებმა ასტეხეს სროლა და დასჭრეს რამდენიმე. ბოლოს ჯარისკაცებმა შესძლეს მუშების იარაღის აყრა. ამავე დროს მოვიდნენ აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენლები სისხლის მღვრელ შეტაკების თავიდან ასაცილებლად. წარმომადგენლებმა ბრბოს სთხოვეს მშვიდობიანობის დამყარება. მოიცადეთ, ვიდრე დროებით მთავრობისა და მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს შეერთებული სხდომა რასმე გარდასწყვეტსო. საღამოს ხუთ საათზე აღმასრულებელ კომიტეტს ცნობა მოუვიდა, დროებითი მთავრობა 18 აპრილის ნოტის განმარტების გამოქვეყნებას აპირებსო. ამ ცნობის შემდეგ აღმასრულებელ კომიტეტმა გადასწყვიტა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს წინადადება მისცეს, რათა მათ მთავრობის განმარტება დამაკმაყოფილებლად აღიარონ და ინციდენტი მოსპობილიო. ამ წინადადებას ხმა მისცა 34, წინააღმდეგ 19 უმრავლესობაში იყვნენ: შრომის ჯგუფი, სახალხო სოციალისტები, სოციალისტ-რევოლიუციონერები, უმცირესთა პარტია და სახელმწიფოს თავდაცვის მომხრეები. უმცირესობაში კი „ბოლშევიკები“ და „მენშევიკ ინტერნაციონალისტები „ბოლშევიკებმა“ შეუძლებლად სცნეს ეხლანდელ პირობებში აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღოს ძალა და უფლება.

დროებით მთავრობის ცნობა.

პეტროგრადი. აპრილის 21. ოფიციალი. რადგანაც გარეშე საქმეთა მინისტრის ნოტის განმარტების შესახებ ათასნაირი ეჭვი დაიბადა, დროებითი მთავრობა საჭიროდ სთვლის განმარტოს: 1) გარეშე საქმეთა მინისტრის ნოტა იყო დროებითი მთავრობის ხანგრძლივ და საფუძვლიანი სჯა-ბაასის საგანი და შემდეგ იგი ერთხმად იქმნა მიღებული, 2) თავის-თავად ცხადია, რომ სიტყვები: „მტერზე სრული გამარჯვება“ ჰგულისხმობს მხოლოდ იმ მიზნების მიღწევას, რა მიზნებიც დასახული იყო 27 მარტის დეკლარაციაში: „დროებითი მთავრობა თავის მოვალეობათა სთვლის ეხლავე განაცხადოს, რომ მიზანი თავისუფალი რუსეთისა არის არა სხვა ხალხზე ბატონობა, არა მათი ეროვნული ავლა-დიდების წართმევა, არა ძალ-მომრეობით ხელში ჩაგდება სხვისი ტერიტორიისა, არამედ მტკიცე მშვიდობიანობის დამყარება ხალხის თვით-გამორკვევის საფუძველზე.—რუსის ერი არა სცდილობს თავის ძლიერების განდიდებას სხვა ერების დაღუპვით, ის არ ისახავს მიზნათ სხვა ერის დამონებასა და დამცირებას. სამართლიანობის უმაღლეს მიზნების მიერ ბორკილები ეხსნება პოლონეთის ხალხს, მაგრამ რუსეთის ერი არ დასთანხმდება გამოვიდეს ამ უდიდეს ომიდან დასუსტებულ-დამცირებული“. 3) ნოტაში მოხსენებულ სანქციებსა და მტკიცე მშვიდობიანობის ჩამოგდების გარანტიაში დროებითი მთავრობა ჰგულისხმობს შეიარაღების შეზღუდვას. საერთაშორისო ტრიბუნალების და სხვათა მოხსნებული განმარტება, გარეშე საქმეთა მინისტრის მიერ, გადაეცემა მოკავშირე სახელმწიფოთა დესპანებს.

ბულგარელი სოციალისტები.

სტოკჰოლმი. აპრილის 2,ბულგარელთა სააგენტოს ცნობით სოფიიდან სტოკჰოლმში გაემგზავნენ: საკიზოვი, საქაროვი, ჯიდოროვი და იანულოვი, სოციალურ კონფერენციაზე დასასწრებლად.

მოძრაობა პეტროგრადში.

პეტროგრადი. აპრილის 21. მთელი დღის განმავლობაში ნევის პროსპექტზედ საბარგო ავტომობილები დადიოდა აფიცრებით, ჯარის კაცებით და სტუდენტებით სავსე, რომელნიც აღნიშნავდნენ არეულობის ზიანს თავისუფლებისათვის და მშვიდობიანობის დასაცავად მოუწოდებდნენ ხალხს.

შეერთებული სხდომა.

პეტროგრადი. აპრილის 21. აპრილის 20, საღამოს 10 საათზედ, თავად ლვოვის თავმჯდომარეობით მოჰხდა შეერთებული სხდომა დროებითი მთავრობის, სახელმწიფო სათათბიროს აღმასრულებელი კომიტეტისა და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს კომიტეტისა. პირველად ილაპარაკა სამხედრო მინისტრმა **გუჩკოვმა**, რომელმაც ნათელ-ჰყო საქმის მდგომარეობა ფრონტზედ. ჩემს მოქმედების პირველს ხანებში, სთქვა გუჩკოვმა, ძალიან ოპტიმისტი ვიყავ და მრწამდა, რომ რუსეთის ხალხი, რომელმაც ძირს დასცა ძველი რეჟიმი, ენტუზიაზმს და ნიჭს გამოიჩენდა მტრის დამარცხებაშიო. მაგრამ ის ცნობები, რომელიც მინისტრს ხელთა-აქვს ყოველგვარს პესიმიზმს ჰხედავს მასში. მდგომარეობა უკიდურესია. არმიის მდგომარეობა დიდ შიშსა ჰგვრის. ამასთანავე გუჩკოვმა აღნიშნა, რომ მდგომარეობა უნუგეშო არ არის, მაგრამ ცუდი შედეგი შესაძლებელია. ხალხის მასსას ზავის საკითხი ნათლად არა აქვს გარკვეული და ჰგონია, რომ ზავის ჩამოგდება მხოლოდ იარაღის დაყრით შეიძლებაო. დასასრულ მინისტრმა აღნიშნა, რომ ხალხისა და არმიის გაჭირვებულ მდგომარეობის გამოსასწორებელ საშუალებად მას ახალ ადგილთა დაპყრობა არ მიჩნია. მიწადმოქმედების მინისტრმა **შინგარიოვმა** აღნიშნა, რომ სასურსათო საქმის კრიზისიც საშიშია. სოციალისტური მოთხოვნილება უკიდურესს ელემენტთა დოკტრინალობას წააგავს და დამღუპველს შედეგს გამოიწვევს. სასურსათო საქმის წესიერ კალაპოტში ჩაყენების იმედი თან და თან ჰკრება. სამუშაროო მემკვიდრეობა ძველი მთავრობისა შესაძლებელია უფრო ცუდს მდგომარეობაში ჩავარდეს. საჭიროა მშვიდათ ვუცადოთ მოსავალს და რამდენიმე კვირის გაჭირვებას თამამად გაუმკლავდეთო.

ფინანსთა მინისტრმა **ტერეშჩენკომ** აღნიშნა, რომ დროებით მთავრობის გუშინდელი ნოტა, პირველის ნოტის გაფართოვებაა, რომელიც მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოსთან შეთანხმებით იქმნა შემუშავებულიო. გაუგებარია ის უნდობლობა რომელიც მან გამოიწვია. ამ უნდობლობას შეუძლიან ჩვენ მოკავშირეთა ჩვენთან კავშირის გაწყვეტა გამოიწვიოსო. საიდუმლო არ არის ის გარემოება თუ როგორ ვართ ჩვენს მოკავშირეებზედ დამოკიდებული. ნამეტნავად ამერიკაზედ, და ამ უნდობლობის მწარე შედეგის პასუხის მგებლობა იმას დაეკისრება, ვისაც არ უნდა მომენტის სიდიადის შეგნებაო. გზათა მინისტრმა **ნეკრასოვმა** განაცხადა, რომ ტრანსპორტის საქმე თანდათან უკეთესდება, მატარებელთა მიმოსვლაც სასურველად სწარმოეს. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარემ **კ. ჩხეიძემ** აღნიშნა, რომ დროებითი მთავრობის ნოტა ერთს ისეთს დებულებას შეიცავს, რომელიც მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოსათვის მიუღებელია. ნოტა არ აღნიშნავს, რომ ანექსიისა და კონტრიბუციის უარი, გამოიწვევს მოკავშირეთა შორის ყალბს შეხედულებას რუსეთის დემოკრატიულ პარტიათა პოზიციაზეო. **რამიშვილი** მოითხოვს, რომ დროებითმა მთავრობამ ხელახლა მიჰმართოს მოკავშირეთ ნოტით. თუ დღევანდელი ნოტა მხოლოდ განმარტებაა, მაშინ ეს გულახდილად აღიარებულ უნდა იქმნას. გარეშე საქმეთა მინისტრმა ვერ შეიგნო რევოლიუციონურ რუსეთის ფსიხოლოგია და სამინისტროში ყველაფერი ძველებურად დარჩაო. პასუხს გარეშე საქმეთა მინისტრი **მილიუკოვი** აძლევს. ის აღნიშნავს, რომ ყრუადღების ფუძეა არა ნოტა, არამედ ის ქალალდი, რომელსაც თან ახლდა ნოტა. თავის და თავად ნოტა მხოლოდ მიმართვაა დროებითი მთავრობისა მოქალაქეთადმი. თავის დროზედ გამოქვეყნებულმა ნოტამ დააკმაყოფილა ყველა დემოკრატიული ელემენტი. მინისტრმა აღნიშნა ის მძიმე შთაბეჭდილება, რომელსაც აქ მომხდარი ეპიზოდები მოახდენენ მოკავშირეებზედ. რაც შეეხება რამიშვილის წინადადებას, გაეგზავნოს მოკავშირეებს ახალი ნოტაო, მინისტრმა განაცხადა ამის შეუძლებლობა, რადგან ამგვარს ნაბიჯს მოკავშირეთა სასტიკი პროტესტი მოჰყვებაო. დასასრულ მინისტრმა განუმარტა სხდომას შინაარსი ახლად მიღებული საიდუმლო დეპეშისა.

წერეთელმა აღნიშნა, რომ ეს ნოტა ზოგიერთს თავის ნაწილებში დამაკმაყოფილებელი არ არის; საჭიროა ზოგიერთი განმარტება და ხალხი მიჰხვდება, რომ მთავრობა ხალხთან ერთად მოქმედობს. **შულგინმა** აღნიშნა, რომ ანექსიისა და კონტრიბუციის უარი შეჰქმნის გერმანეთისათვის ხელსაყრელ ლოზუნგს. ეხლა ომის შეწყვეტა ხელს შეუწყობს ვილჰელმს თავის დიდი ხნის სურვილთა განხორციელებაში. ეს დამღუპველი ნაბიჯია, დაამთავრა შულგინმა, და ნუ თუ სასურველია, რომ ამ ომის შემდეგ გერმანეთი ისევ ზურგ მომაგრებული დარჩეს რუსეთის სახიფათოთაო. არა, გერმანეთის მილიტარიზმთან ბრძოლა ბოლომდის მიყვანილ უნდა იქმნეს. **ჩერნოვმა** სთქვა: „რუსეთში აუცილებლად უნდა მოხდეს ძირითადი რეორგანიზაცია დიპლომატიისა და მისი წარმომადგენლების. რატომ არ დაკმაყოფილა დემოკრატიულ ელემენტების მისწრაფებანიო. თუ ჩვენ უარს ეყოფთ ანექსიას და კონტრიბუციას, მაშინ ეს პირდაპირ უნდა განვუცხადოთ მოკავშირეთ“. მეორე სათათბიროს წევრმა **ზურაბოვმა** განაცხადა: თუ მოკავშირენი არ დაგვთანხმდენ ანექსიის და კონტრიბუციის უარში, მათთან ერთად ომი არ შეგვიძლიაო“. **აჯემოვმა** განაცხადა, ზურაბოვის წინადადების მიღება შეუძლებელია, რადგან ამით ჩვენ სეპარატიულ ზავის კითხვის წინ გავჩნდებითო. აჯემოვის სიტყვის შემდეგ კამათი შესწყდა. აღმასრულებელ კომიტეტის წევრებმა სთხოვეს დროებითს მთავრობას შეიმუშაოს ტექსტი, რომლითაც რუსეთის მოქალაქეთ უნდა მიმართონ ნოტის განმარტებით.

მოძრაობა მოსკოვში.

მოსკოვი. აპრილის 21. პეტროგრადში მომხდარ ამბებთან ერთად მოსკოვში დემონსტრაციები მოხდა. ფაბრიკების მუშები, სარევოლიუციო სიმღერებით, დროშებით, რომელზედაც წარწერილი იყო: „ძირს გუჩკოვი და მილიუკოვი“-ო, ქალაქის ცენტრისაკენ გაემართნენ და ალაგ-ალაგ მიტინგებსა მართავდნენ. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა მოუწოდა მუშებს მშვიდობიანობა დაიცავითო.

მოსკოვი. აპრილის 22. პრესპენის უბანში შეგროვდა ბრბო, რიცხვით 2.000 კაცი. ხალხი ყვიროდა: „სად არის პური და წყალიო“, ძირს მილიცია, ძირს დროებითი მთავრობა!—მოგვეცით მეფე!“-ო. აღმოჩნდა, რომ ბრბოს მეთაურობდა ყოფილი პოლიციელი (ზოროდოვოი), რომელიც დროებით დათხოვნილ იყო სამსახურიდან. 4 საათზე ბრბო რიცხვით 200 კაცი შევარდა პიატნიცკის კომისარიატის სადგომში და ხელთ იგდო: 15 რევოლვერი, ბერდანა და პატრონა. ბრბოში აღმოჩნდა პეტროგრადის „ოხრანკის“ თანამშრომელი. აპრილის 22 მოსკოვში სრული სიწყნარე ჰსუფევდა. მრავალ ადგილებში გამოკრულია განცხადებანი ჯარისკაცთა მიერ, რომელიც მოუწოდებს ბურჟუათა ჯიბეების დასაფხრეწად. ბოლოს გამოირკვა, რომ ეს საქმე პროვოკატორების საქმე ყოფილა და არავითარი კომიტეტი არ არსებულა.

ვოლოკოლამი. აპრილის 21. შუადღის 3 საათზე გენერალ-გუბერნატორთან მივიდნენ მე 5 პოლკის აფიცრები და ჯარისკაცნი წითელის დროშებით და ორკესტრით. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარემ ხინჩუკმა მიჰმართა სიტყვით და სთხოვა წესიერება დაიკავეთო. პოლკის წარმომადგენლებმა განაცხადეს, მზათავართ მხარი დავუჭიროთ საბჭოს ყოველგვარს საქმეშიო.

ტვერის ქუჩაზე შეიპყრეს ლენინის მიმდევართა ჯგუფი დროშით, რომელსაც წარწერილი ჰქონდა „ძირს ომიო“.

მუშათა დეპუტატების საბჭოს ცნობა.

პეტროგრადი. აპრილის 22. მუშათა დეპუტატების საბჭომ დაუგზავნა ყველა პროვინციის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებს და გლეხთა დეპუტატების ცენტრალ ბიუროს, შემდეგი ცნობა: „არმია და დიდი ქალაქები უკიდურესს სასურსათო კრიზისს განიცდიან. რადგან ორგანიზაციათა მასიური სიმცირეა, შეფერხებულია სურსათ-სანოვაგის მიწოდება. მცხოვრებთ ალბად არა აქვთ წარმოდგენილი ამ საკითხის დიდი მნიშვნელობა, ამით სარგებლობენ ძველი რეჟიმის მოშხრენი და რევოლიუციის წინააღმდეგ აგიტაციას ეწევიან. თუ ჩვენი არმია და დიდ ქალაქთა მცხოვრებლები უპჭოროდ დარჩნენ, თავისუფლების საქმე სამუდამოდ დაღუპულია. ამიტომ გთხოვთ, ყოველი ღონე იღონოთ, რათა მოაწესრიგოთ სურსათ-სანოვაგის საქმე. დაეხმარენით ადგილობრივს სასურსათო კომიტეტებს. მოუწოდეთ ყველა გლეხს, მუშას და საზოგადოებრივს ორგანიზაციას დაგეხმარნენ ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეში“.

გერმანეთის მთავრობა პროვოკატორებს დაეძებს.

სტოკჰოლმი. აპრილის 21. ბერლინელი გაზეთები იუწყებიან, სამხედრო მთავრობამ გამოაცხადა, 3.000 მარკა მიეცემა საჩუქრად იმას, ვინც მტრის აგენტებს აღმოაჩენსო. მთავრობის სიტყვით ეს აგენტები ხალხში უკმაყოფილებას და უთანხმოებასა სთესენო. გაზ. „ფორვერსტრმა“ ეს განცხადება არ დაჰბეჭდა. მხოლოდ ხალხი გააფრთხილა უსაფუძვლო დაბეზღებებს ნუ აჰყვებითო.

გერმანელი მეზარჯვენენი ანექსიასა და კონტრიბუციას მოითხოვენ.

სტოკჰოლმი. აპრილის 21. ბერლინის კონსერვატორულ გაზ. „დეიტმიტაგეს ციეიტუნგში“ გამოქვეყნებულია ყველა კონსერვატორთადმი მიმართვა. მოუწოდებენ პროტესტი განაცხადონ უანექსიო და უკონტრიბუციო ზავზე.

ასკვიტის განცხადება.

ლონდონი. აპრილის 21. ლიბერალების მიტინგზედ ასკვიტმა განცხადა, რომ რუსეთის ძველი რეჟიმისაგან განთავისუფლება, რუსეთს ახალ ძალას შეჰმატებს თავისუფლებისათვის ბრძოლაში, მაგრამ ჩვენ მანც ძველებურად უნდა განვაგრძოთ მოქმედებაო. სურსათ-სანოვაგის შესახებ განაცხადა, რომ მთავრობამ ბევრი ხორბალი და დამარილებული ხორცი შეინახაო.

რიგა. აპრილის 21. რიგის მუშათა დეპუტატების საბჭოს სხდომაზე აღმასრულებელმა კომიტეტმა განაცხადა, რომ მუშათა დეპუტატების ორგანოს მიჩენილი ჰყავდა ცენზურა. კრებამ ერთხმად გარდასწყვიტა პროტესტი განუცხადოს ამგვარს ძალმომრეობას, და აგრეთვე დროებითი მთავრობის ცირკულიარს, რომ პოლიტიკურს ნიადაგზე დატუსაღება მთავრობის ცნობით მოხდეს.

ძველი პოლიცია.

ოდესა. აპრილის 21. კომისარიატმა დაადგინა დაუყოვნებლივ დაითხოვონ პოლიციის ყოფილი მოხელენი.

უკრაინელთა ჯარის დაარსება.

კიევი. აპრილი 20. მიუხედავად აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებისა, არ გარდაიქმნეს ცალკე უკრაინელთა პოლკები, კიევში თავმოყრილი 3000 უკრანელი ჯარის კაცი გამოცხადდა სასახლეში, სადაც იმყოფებოდა საბჭო სამხედრო პირების დეპუტატებისა და მოსთხოვეს დაუყოვნებლივ დაარსდეს უკრაინელთა ჯარი. სასახლის წინ დაწყობილ პოლკთან გამოვიდნენ მთავარი ნაჩალნიკი სამხედრო ოლქისა ხოდოროვიჩი, სამხედრო კომისარი ობერუჩევი და წარმომადგენელი სამხედრო პირთა დეპუტატებისა. იმათ სიტყვებს არავითარი შედეგი არ მოუტანიათ, პოლკის დელეგატებმა განაცხადეს: ჩვენ უკვე დავაარსეთ აშკარა პოლკი ხმელნიცკის სახელობაზედ. ავირჩიეთ კომანდირი; დღეს ამ საკითხის გამოსარკვევად დანიშნულია საჩქარო შეერთებული სხდომა სამხედრო და მუშათა საბჭოსი.

ეროვნული საკითხი

უკრაინა.

ხარკოვი. უკრაინელთა ყრილობამ დაადგინა მოაწყოს ხარკოვის რადა და გამოსთქვა სურვილი არქიეპისკოპოს ანტონის დათხოვნისა, და სასწავლებელებში ნაიმპერატორალის სურათების მაგივრად ჩამოიკიდოს მწერალთა სურათები.

საქართველოს ავტონომია

(დასასრული. იხ. „საქართ.“ № 87.)

VI.

თბილისი.

თბილისის შესახებ სერიოზული დავა და ლაპარაკი არასოდეს არ ყოფილა და უეჭველია, არ იქნება.

მართალია, პოლიტიკური ცენტრი სამწუხაროდ არა აქვსთ სომხებს. იმათთვის ყველგან ცენტრია: სტამბოლი, თბილისი, ბაქო, მოსკოვი, პეტროგრადი, კალკუტა და ნიუ-იორკი. . სამწუხაროა სწორედ ეს სიმრავლე ცენტრებისა. თუ ცენტრი ბევრია, აშკარაა, ცენტრი არ ყოფილა სულ. ამიტომ, გასაკვირი არ არის, თუ ზოგიერთი სომხის პატრიოტი ეპოტინება თბილისს. ამ ხელის პოტინში ბევრი სიმწუხარეა, ბევრი სიმწვავე, რაც ჩვენში ბევრს თანაგრძნობას იწვევს. მაგრამ თანაგრძნობა და სამძიმარი ერთია, პოლიტიკური კითხვა კი სულ სხვა.

სომხები ჩვენში შემოხიზნული ხალხია. ვენაში ბევრია ებრაელები, ვარშავაში ერთ მესამედი უდრის მათი რიცხვი, მაგრამ არავის მოუვა თავში ვენა ან ვარშავა გამოაცხადოს ებრაელების ქალაქად. სომხები გადმოიხვეწნენ ჩვენში, როცა მათი სახელმწიფო დაინგრა, შემოეფარნენ საქართველოს და საქართველომაც მიიღო იგინი ძმურად და მეგობრულად. ეს არის მოკლედ მთელი ისტორია და ისტორიული უფლება სომხებისა თბილისზე.

ყველამ იცის, რომ თბილისი შუაგულია საქართველოსი და თავის დაარსებიდან იყო და არის ჩვენი ქვეყნის დედა-ქალაქი. მისი ყოველი კუთხე და მიდამოები მორწყულია ქართველის სისხლით.

დიდუბეში ჰბერს სული თამარის დროინდელი დიდებისა.

წმიდა დავითი და სიონი სავსეა იდუმალი შინაარსით, არა მარტო რელიგიურით.

მეტეხი იყო ფარი საქართველოს თავისუფლებისა.

კრწანისის ველზე ჰლაღადებს ძვლები ქართველ მეომრებისა.

რაღა დარჩა? სოლდაცკი ბაზარი და არმიანსკი ბაზარი? ბაზარი და ალებ მიცემობა ყველასათვის თავისუფალია.

თბილისი არ არის საქართველოს ქუდი რომ მოიხადო და საჩუქრად გადაუგდო ვისმე. თბილისი—თავია საქართველოსი, მისი დათმობა იქნება თავის მოჭრა, თავის მოჭრა კი სიკვდილია.

VII

ორგანიზაცია

საქართველო უნდა წარმოადგენდეს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

თუმცა ეს მოთხოვნილება აშკარაა და ნათელი, მაინც იგი ითხოვს ცოტა-ოდენ განმარტებას იმისდა მიხედვით, თუ რა იქნება რუსეთში. თუ რუსეთი მოეწყობა ისე, როგორც ფედერატიული რესპუბლიკა, მაშინ საქართველო იქნება ერთი შტატი ან კანტონი, დაახლოვებით იმავე უფლებებით, როგორიც აქვს შტატებს ჩრდილო ამერიკაში, ან კანტონებს შეეიცარიაში.

თუ რუსეთში ფედერაცია ვერ მოხერხდება, მაშინ საქართველოს უნდა აღედგინოს ავტონომია რუსეთთან ხელ-შეკრულების ძალით, ე. ი. თავის შინაგან საქმეთა მართვა გამგეობაში იგი უნდა იყოს თავისუფალი.

რაც გინდა მოხდეს, შტატი იქნება თუ ავტონომია, ერთ ნაირად საჭიროა გავითვალისწინოთ საქართველოს მართვა გამგეობის ორგანიზაცია.

თავი და თავი მიზანია ყოველ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციისა, ვიმეორებ, არის თავისუფლების დაცვა. მეცნიერებამ გამოიკვლია და ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ თავისუფლების დასაცველად ერთი უმთავრესი საშვალებათაგანი არის უფლებათა დანაწილება. სახელმწიფოებრივ უფლებაში სამი ელემენტია: აღმასრულებელი, კანონმდებელი და სამართალი. ეს სამი ელემენტი არ უნდა იყოს არეული, არ უნდა იყოს ერთი და იმავე ხელში; სამივე ელემენტი უნდა იყოს განკერძოებული და დამოუკიდებელი ერთი მეორისაგან. ამიტომ ჩვენ უნდა მოკლედ აღვნიშნოთ, თუ როგორ უნდა იყოს მოწყობილი თითეული ეს ძალა.

ა) საქართველოს ადმინისტრაცია.

ვინ იქნება საქართველოს ავტონომიის სათავეში? ვინ იქნება მისი მმართველი და წარმომადგენელი?

ინგლისის ავტონომიურ კოლონიებში ასეთი პირია გენერალ-გუბერნატორი, რომელსაც ჰნიშნავს **ინგლისი**.

ამერიკაში (შტატებში)—გუბერნატორი, რომელსაც ირჩევს ხალხი ერთის, ორის, ან ოთხის წლის ვადით.

შვეიცარიის კანტონებში ასეთი პირი სულ არ არის. ჟენევაში, მაგალითად, ხალხი ირჩევს „**სახელმწიფო საბჭოს**“, ორი წლის ვადით. ეს საბჭო შესდგება შვიდი წევრისაგან და იმას აბარია მთელი კანტონის გამგეობა.

თუ რუსეთში დამყარდება ფედერატიული წესწყობილება, მაშინ აღმასრულებელი ძალა მოწყობილი იქნება დაახლოვებით ისე, როგორც არის ჩრდილო ამერიკაში, ან შვეიცარიაში ე. ი. ხალხის სურვილზე იქნება დამოკიდებული აირჩიოს ერთი ან რამდენიმე წარმომადგენელი აღმასრულებელი უფლებისა. თუ ავტონომია იქმნება, მაშინ ცენტრალ მთავრობას შერჩება უფლება საქართველოში დანიშნოს თავისი წარმომადგენელი, რომელიც იმავე დროს იქმნება უმთავრესი გამგე ავტონომიისა. ამ შემთხვევაში, რა საკვირველია, დიდად სასურველია, რომ ამისი უფლება იქმნას იმდენი და ისე განსაზღვრული, როგორც არის ინგლისურ ავტონომიებში. ასეთი გუბერნატორი ან ნამეტნიკი ვალდებული იქმნება განაგოს საქართველოს საქმეები საზოგადოებრივ აზრის თანახმად, ხალხის სურვილისამებრ. მან ყოველწლივ თავის დროზე უნდა მოიწვიოს და გახსნას საქართველოს საკანონმდებლო საკრებულო (პარლამენტი), იმას ჰყავს თავისი სამინისტრო, პასუხისმგებელი ამ საკრებულოს წინაშე; იგი ამტკიცებს მიღებულ კანონებს (სანკცია) ან ნება აქვს ზოგჯერაც არ დაამტკიცოს ეს კანონი (ვეტო). ერთის სიტყვით, იგი მხოლოდ თავს ყურს ადევნებს, რომ რაიმე რუსეთის საწინააღმდეგო კანონი არ იქნას მიღებული. რასაკვირველია, იგი უნდა იყოს საქართველოს მკვიდრთაგანი.

თუ საქართველოს ხელშეკრულობას სახეში მიიღებთ, თავისთავად ცხადია, რომ თვითონ საქართველოს უნდა მიენიჭოს ამისთანა პირის არჩევის უფლება განსაზღვრულის ვადით; რუსეთს უნდა შერჩეს მხოლოდ უფლება მისი დამტკიცებისა. ეს იქნება პრეზიდენტი საქართველოს რესპუბლიკისა, წარმომადგენელი ავტონომიისა და მეთაური მისი აღმასრულებელი ძალისა. აგრე კითხვის გადაწყვეტა უფრო სასარგებლოა და იურიდიულად უფრო დასაბუთებული.

ბ) საქართველოს პარლამენტი.

ეს პარლამენტი უნდა წარმოადგენდეს მთელს საქართველოს. მე ამითი ის მინდა ვსთქვა, რომ ამ საკრებულოში უნდა იყოს წარმოდგენილი არამც თუ ყოველი ხარე საქართველოსი, არამედ ყოველი უმცირესობაც, პოლიტიკური იქნება იგი, თუ ეროვნული მაშასადამე, არჩევნითი უფლება იმგვარად უნდა იყოს მოწყობილი, რომ უმცირესობასაც ჰქონდეს შეძლება გაიყვანოს თავის წარმომადგენელი ამ საკრებულოში და ამ ნაირად მიიღოს მონაწილეობა ქვეყნის კანონმდებლობაში. ამისთანა არჩევნებს ჰქვიან პროპორციული წარმომადგენლობა. პროპორციული არჩევნები კი ნამდვილი დემოკრატიული პრინციპია და მიღებულია ყველა განათლებულ და დემოკრატიულ ქვეყნებში. ამ პრინციპზე აშენებული კანონმდებელი საკრებულო იქნება სწორი გამომხატველი მთელი საქართველოისა, როგორც ეროვნულად, ისე პოლიტიკურად.

ყოველი სრული წლოვანი მკვიდრი საქართველოისა, მიიღებს მონაწილეობას ამ არჩევნებში, დედა-კაციც და მამაკაციც თანასწორად. ეროვნებას და სარწმუნოებას ამ შემთხვევაში არა აქვს არავითარი მნიშვნელობა.

გ) სამართალი

როგორ უნდა მოეწყოს სასამართლო საქართველოში?

ამ კითხვის გადაწყვეტაში სახეში მაქვს როგორც უცხო ქვეყნების მაგალითები, ისე ჩვენი ცხოვრებაც—ეხლანდელი ჩვენი სასამართლოები.

ა) მომრიგებელი მოსამართლე

მისი უფლება უნდა იყოს ცოტად გაფართოებული, მისი უბნის სიდიდე ცოტათი შემცირებული. ამ მოსამართლეს ირჩევს ხალხი.

იმ საქმეებისთვის, რომელსაც არჩევს მომრიგებელი-მოსამართლე, მეორე ინსტანცია იქნება ამ მოსამართლეთა პერიოდული კრება. ასეთ საქმეებისთვის კასსაცია უნდა მოიხსნას სრულებით. ამ უკანასკნელ მოსაზრებას თავისი ღრმა საფუძველი აქვს, რომლის **განვითარება ეხლა შორს წაგვიყვანს.**

ამისთანა საკრებულო, რომლის შემადგენლობა იქნება ალბად 100—200 კაცამდე, უნდა გაიხსნას ქ. თბილისში ყოველ წლივ ერთჯერ მაინც. ამ საკრებულოს ხელში იქნება სრული ადგილობრივი კანონმდებლობა. მან უნდა მოაწყოს თავდაპირველად თავისი თავი, შეიმუშაოს თავისი კონსტიტუცია, მოაწყოს ადმინისტრაცია, სამართალი, სახალხო განათლება, მილიცია და პოლიცია, ადგილობრივი თვითმართველობა სოფლების და ქალაქების, მიწათ-მფლობელობისა, მეურნეობა, მრეწველობა, ვაჭრობა და სხვა და სხვანი. ერთის სიტყვით, მოაწესრიგოს მთელი ჩვენი პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური ცხოვრება და განწყობილება.

ეს არის კანონმდებლობა და ეს კანონმდებლობა ეკუთვნის საქართველოს პარლამენტს.

გ) სამართალი

როგორ უნდა მოეწყოს სასამართლო საქართველოში?

ამ კითხვის გადაწყვეტაში სახეში მაქვს როგორც უცხო ქვეყნების მაგალითები, ისე ჩვენი ცხოვრებაც—ეხლანდელი ჩვენი სასამართლოები.

ა) მომრიგებელი მოსამართლე

მისი უფლება უნდა იყოს ცოტად გაფართოებული, მისი უბნის სიდიდე ცოტათი შემცირებული. ამ მოსამართლეს ირჩევს ხალხი.

იმ საქმეებისთვის, რომელსაც არჩევს მომრიგებელი-მოსამართლე, მეორე ინსტანცია იქნება ამ მოსამართლეთა პერიოდული კრება. ასეთ საქმეებისთვის კასსაცია უნდა მოიხსნას სრულებით. ამ უკანასკნელ მოსაზრებას თავისი ღრმა საფუძველი აქვს, რომლის განვითარება ეხლა შორს წაგვიყვანს.

ომი და ზავი

დეპეშები

მთავარბანაკის ცნობა

23 აპრილი

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზზე სროლა და ზვერვაა. მძიმე ზარბაზნებს ვუშენდით პობურსკის სადგურს, კოველის აღმოსავლეთით, რითაც აფეთქება მოვახდინეთ სასროლ მასალის საწყობისა. ზოგიერთ ადგილას მოპირდაპირე მსკდომარე ტყვიებს გვიშენდა.

რუმინეთის ასპარეზი. კოზდი-ვაზარგელის მიმართულებით, მონასტირკა-კაშინულის დასავლეთ მიდამოებში მოპირდაპირემ იერიშები დაიწყო, მაგრამ ზარბაზნის სროლით გავფანტეთ.

კავკასიის ასპარეზი. 16 აპრილს ჩვენი რაზმი მდ. დიალის მარჯვენა კიდეზე გადვიდა სოფ. მეიდანთან, მოულოდნელად დაეცა ოსმალებს, ხელთ იგდო 23 ტყვე ასკერი და დაუზარალებლად უკანვე დაბრუნდა. ოგნოტოს და მუშის მიდამოებში სტრატეგიულის მოსაზრებით ჩვენი ჯარი ახალ ადგილებზე გადადის. ოგნოტო და მუში დავტოვეთ. მუში ოსმალებმა დაიჭირეს.

24 აპრილი

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. კოველის მიმართულებით, კუხარიბელიცკის მიდამოებში და ვლადიმირ-ვოლინის მიმართულებით ზატრუციშელვოვის მიდამოებში, მოპირდაპირე მედგრად გვიშენდა ზარბაზნებს. ზოლოჩევის მიმართულებით, კაბაროვცეს მიდამოებში, 23 აპრილის ღამეს მოპირდაპირემ შემოგვიტია. მისი რაზმები ჩვენს მავთულების ხლართს მოუახლოვდნენ, მაგრამ ზარბაზნებისა და ტყვიის მფრქვეველების სროლით უკუვაგდეთ. დანარჩენ ბრძოლის ხაზზე ჩვეულებრივი სროლა და ზვერვაა.

რუმინეთის ასპარეზზე სროლა და ზვერვაა.

კავკასიის ასპარეზზე სროლა და ზვერვაა.

პეტროგრადი. 22 აპრილი. პეტროგრადის ოლქის ჯარის მთავარ-სარდალი იტყობინება: ცნობები გვაქვს, რომ ჩრდილოეთის ასპარეზის წინააღმდეგ მოპირდაპირე დიდ ძალ ჯარს აგროვებს. გერმანელების საგაჭრო გემები უკვე ლიბავაში სდგას და ყინულის გალხობის შემდეგ მზადაა ფლოტის მფარველობით ჯარი გადმოსხას პეტროგრადის მახლობელ სანაპიროებზე. მთავარსარდალმა განკარგულება გასცა, ახლად დაირაზმოს მთელი ოლქის ჯარი და მტრის მოსალოდნელ თავდასხმისათვის მზად იყოს, რომ იგი სატახტო ქალაქის მისასვლელ გზაზე დაამარცხოს.

ენდერი. სადგურ ბესარაბსკაიას მახლობლად მტრის მფრინავმა ყუმბარები ჩამოჰყარა, თუმცა არსებითი ვნება არ მიუყენებია.

რიგა. მტრის მხრიდან დვინსკის მიდამოებში, გამოქცეულთა სიტყვით, გერმანელები რამდენიმე ახალ პოლკს რაზმავენ, რათა მზად დაჰხვდნენ რუსების მხრით მოსალოდნელ შეტევას. ახალ პოლკებს არსებულ ურთიერთთა შემადგენლობის შემცირებით ადგენენო.

ინგლისის ტრანსპორტის დაღუპვა.

ლონდონი. აპრილის 20. სამხრეთ-ზარო იუწყება: აპრილის 20 ხმელთა-შუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში, მტრის წყალ-ქვეშა ნავის მიერ დაღუპულია ინგლისის ტრანსპორტი ჯარით. ტრანსპორტი „არვადიანი“ ჩაიძირა 5 წამში. გვაკლია ოფიცერი, 214 სხვა და სხვა სამხედრო მოხელე 10 საზღვაო ოფიცერი, 34 გემის მსახური და ორი მოქალაქე.

გემების დაღუპვა

ლონდონი. ინგლისის კონტრ-ნაღმოსანი ლამანშის არხში ნაღმს წააწყდა და დაიღუპა. ჰფიქრობენ, ზედ მყოფი 61 მეზღვაური და ერთი აფიცერი დაიღუპაო.

კოპენჰაგენი. დანიის გემი „დიანა“ ჩაძირეს. ზედ მყოფთაგან 12 კაცი დაიღუპა.

ქრისტიანია. ნიუკესტლიდან კოლაში მიმავალი რუსეთის გემი „ოლგა“, ნორდეპიდან 80 ვერსის მოშორებით გერმანელების წყალქვეშამ დაღუპა. ზედ მყოფნი გადაარჩინეს, მზარეულის გარდა.

საფრანგეთი

პარიზი 24 აპრილი. დღის ოფიციალური ცნობა. რეიმსის ჩრდილო-აღმოსავლეთით მთელ ღამეს ზარბაზნების სროლა იყო. შამპანში კორნილიოს მთის დასავლეთით წინ წავიწიეთ და გერმანელების იერიში ხელის ყუმბარებით მოვიგერიეთ მარნოვილის სამხრეთით. მაასის მარცხენა ნაპირას ზარბაზნების სროლაა. მორტჰომის ხაზზე მოულოდნელად შევუტიეთ მოპირდაპირეს ავოკურის ტყესთან და ტყვეები წამოვიყვანეთ. 20 აპრილს გერმანელების სამი საფრენი ჩამოვაგდეთ. გერმანელმა მფრინავებმა დიუნკერკის მიდამოშიყუმბარები ჩამოჰყარეს ზიანის მიუყენებლად.

მფრინავთა მოქმედება.

პარიზი. აპრილის 19. დღის განმავლობაში ჰაეროპლანთა მებრძოლმა რაზმმა დიდი ენერგიული მოქმედება გამოიჩინა; ჰაერში რამდენჯერმე განმეორებულს ბრძოლის დროს ჩამოგდებულ იქმნა გერმანელთა 4 ჰაეროპლანი; ამას გარდა შემჩნეულ იქმნა გერმანელთა 15 ჰაეროპლანის ჩამოვარდნა, გერმანელთა ჯარის ხაზში. აპრილის 17. ღამე ჩვენმა ჰაეროპლანთა მებრძოლმა რაზმმა ყუმბარები დაუშინა ტიონვილის სადგურსა და ქარხნებს; დილით კი, აპრილის 18, ჩვენმა მფრინავებმა 320 კილოგრამი ასაფეთქებელი მასალა ჩაჰყარეს სუასონის ჰაეროდრომში. მეორე ღამეს იქვე ჩაჰყარეს 2000 კილოგრამი ასაფეთქებელი მასალა, რამაც დიდი ცეცხლი გააჩინა. აპრილის 19, ღამე ჩვენმა მფრინავთა რაზმმა ყუმბარა დაუშინა სადგურებს ბეტანვილში, პოვერკეში, შატელში და სიურენტურში, რამაც აქ რამდენჯერმე აფეთქება და დიდი ცეცხლი გააჩინა.

ბ) საოლქო სასამართლო

სამი ან ოთხი: თბილისში, ქუთაისში, ბათომში და შეიძლება აგრედვე სუხუმში.

ამ სასამართლოების განხილვაში შედიან იგივე საქმეები (სამოქალაქო და სისხლის სამართლისა), რაც ეხლა მიეკუთნება „ოკრუჟნი სუდს“. ამ საქმეებისთვის მეორე ხარისხის სასამართლო იქნება პალატა, როგორც არის ეხლა.

აქ საკასაციო ინსტანცია საჭირო არის. ამიტომ თბილისში უნდა მოეწყოს **სენატი**, რომელიც იქნება უმაღლესი სასამართლო დაწესებულება საქართველოში.

VIII. დასკვნა.

ერი—ცხოველი ორგანიზმია. იგი თავის თავად ჰქმნის თავის ნერვიულ სისტემას, თავის ტვინს და შესაფერ ორგანოებს, რაც კი საჭიროა საცხოვრებლად და თავის დასაცავად. ერის უმაღლესობა სწორედ იმაში გამოიხატება, როცა მისი მუნიციპალური ზრდა და განვითარება შეფერხებულია, როცა იგი ძალდატანებით მოკლებულია ყოველ დონისძიებას თავისუფლად შექმნას ეს საჭირო და აუცილებელი ორგანოები.

ავტონომია ერის სწორედ იმ თავისუფლების მოპოვება, რომელიც აუცილებლად საჭიროა ეროვნულ ცხოვრების მოსაწყობად. პარლამენტი არის ის ტვინი ერისა, სადაც იკვანძება მისი ნერვიული სისტემა, მისი თვითშეგნება, მისი სურვილი და ნება. მართველობა კი არის ის ორგანო, რომელსაც ევალება ამ ნება-სურვილის სისრულეში მოყვანა. ამ ნაირად ერი ღებულობს იურიდიულ სახეს, იგი ჰხდება უფლებრივი პიროვნება. ამ მომენტიდან იმას ეძლევა ტეხნიკური საშუალება თვით მოუაროს თავისთავს, თვით გაუძღვეს თავის საქმეებს და მოაწესრიგოს თავის ცხოვრება.

მე სახეში არა მქონდა დაწვრილებითი აღწერა იმ წესწყობილებისა, რომელიც უნდა დამყარდეს საქარველოში. ეს კითხვა დიდად ვრცელია და ერთი ან ორი ფელეტონით იგი არ ამოიწურება. მე მინდოდა მხოლოდ წარმომედგინა საერთო მოხაზულობა ავტონომიისა, საერთო გეგმა მის შინაურ წესწყობილების და საერთოდ მისი ადგილი რუსეთში.

მე მგონია, ეს მოკლე წერილიც საკმარისია ამ საერთო მოხაზულობის წარმოსადგენად. მე არ შეეხებივარ არც სამხედრო სამსახურს საქართველოში, არც მისს ხაზინას და ხარჯთაღრიცხვას და ბეჭრს კიდეე სხვა მნიშვნელოვან მხარეს. მაგრამ მიუხედავად ამისა მკითხველისთვის, მე მგონია, მაინც აშკარაა ის მინიმუმი პოლიტიკური თავისუფლებისა, რომელიც აუცილებლად უნდა მიენიჭოს საქართველოს. ეს იქნება—საქართველოს ტერიტორიაზე დამოუკიდებელი მართვა-გამგეობა მის შინაურ საქმეებში.

მაშინ მოეწყობა შრომაც და განათლებაც: მაშინ მოვხნავთ მიწას, გავჭრით მთებს, ამოვალაგებთ და გარდაქმნით მათ სიმდიდრეს, ავაყვავებთ ბაღებს, გავიყვანთ ხიდებს, ავახმაურებთ სხვა და სხვა ქარხნებს... და ვრცელი და განუზომელი შავი ზღვის პირი გახდება საამური გასაქანი ჩვენი შრომის და შემოქმედებისა.

გიორგი ყვაზავა.

გრძოლის ველზე

დიდი ხნის დუმილის შემდეგ კავკასიის გრძოლის ველი ისევ ახმაურდა.

ოსმალთა სტრატეგიამ, რომელიც მიმდევარია გერმანულ სამხედრო მეცნიერებისა, მრავალჯერ სცადა ინიციატივის ხელში ჩაგდება, მოპირდაპირის ნების დამორჩილება და ბრძოლის ველზე ლოტბარობა, მაგრამ მრავალ მიზეზთა გამო ამ მიზნის განხორციელება ვერ მოახერხა: ყოველი მისი თავგანწირული და გაბედული ნაბიჯები—სარიყამიშის ოპერაცია, ხანგრძლივი ბრძოლები ალაშქერთში 1915 წ. და სამხრეთ სპარსეთის ლაშქრობა ხანეკენთან რუსის ჯარის დამარცხების შემდეგ—მისთვის მარცხით თავდებოდა და მოპირდაპირეს მხოლოდ ხელს უმართავდა. რუსებიც და ინგლისელებიც ყოველ ასეთ დროებითი მარცხის შემდეგ ფიცხლად ღონეს იკრეფდნენ და მოპირდაპირეს, დასუსტებულს მანძილითა და შორის გზით, ახალ-ახალ სიმაგრესა და ადგილს ართმევდნენ.

ოსმალთა მომავალი სამხედრო საქმის მცოდნეთა აზრით, საოპერაციო გეგმა ასეთია: მესოპატამიაში გაფუჭებულ საქმის გამოსწორებას ოსმალნი კავკასიაში ეცდებიანო. აგერ თითქმის ერთი თვეა რაც ოსმალნი ამ ფრონტზე ახმაურდნენ და ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ხელთ იგდეს ორი მნიშვნელოვანი ადგილი: მუში და გნოტი. მნიშვნელობა ამ ადგილებისა განიზომება მათი მდებარეობით და იმ გზით, რომელიც ამ ორ ადგილს აერთებს და აქედან ოსმალთა ჯარს საოპერაციო მიმართულებას უხსნის: ერთის მხრით კოპ მელიაზგერთისკენ, მეორე მხრით ხნისკალა-კეპრიკიოისკენ და მესამე მხრით—მამახატუნისკენ. ამ რაიონში შემოჭრილ მოპირდაპირეს მახლობელ მიზნად დასახული აქვს აზრუმის სამი მხრით შემოვლა: აღმოსავლეთით, სამხრეთით და დასავლეთით. ოპერაცია მეტად რთული და ძნელია. საერთოდ კავკასიის გრძოლის ველზე გამარჯვებისა და მარცხის საკითხი გარდაიქცა მანძილის დაძლევისა და სურსათისა და სამხედრო მასალის მიწოდების საკითხად. საქმე ისე დატრიალდა, რომ ერთ მებრძოლს ზურგს უკან უნდა უდგეს რამდენიმე მებარგე და რამდენიმე ცხენ-ურემი. ვისაც ამ მხრივ ზურგი უფრო მაგარი აქვს, გამარჯვებაც მისია, რუსთა მიერ დაპყრობილი მთა-მინდორი ისეა მოპარსული და მოფხეკილი, რომ ოსმალოს ჯარს აქ რისამე შოვნის იმედი არ უნდა ჰქონდეს. ეს გარემოება მას უკარნახებს მეორე მიმართულების არჩევას—ადერბეიჯანს, რომელსაც შეუძლიან დიდი ჯარის გამოკვება. ამიტომ, თუ ოსმალოს ჯარს ტრანსპორტი ჯეროვანად არა აქვს მოწყობილი, შესაძლებელია აზრუმის ოპერაცია მხოლოდ მანეგრი იყოს, ხოლო მიზანში მას ამოღებული ჰქონდეს უფრო შორი გზა—ჯულფის მიმართულება.

ასეა თუ ისე, ოსმალეთი სცდილობს დროს მოგებას. ჰაერში ზავის სუნი ტრიალებს, ხოლო ზავზე ლაპარაკის დროს რიხიანად და გაბედვით ილაპარაკობს, ვისაც მოპირდაპირის მიწა-ადგილი უჭირავს ხელში.

ოსმალეთი ამ მიწა-ადგილის დაბრუნებას ესწრაფვის.

გ. ად—ლი.

უკანასკნელი დეპეშები

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოს წევრებმა გადაწყვიტეს: გამოიკვლიონ გუშინდელი ექსცესები, აგრეთვე პეტროგრადის ქარხნებში გაგზავნონ დელეგატები გუშინდელ ამბოხების გამოსარკვევად.

—

„დენის“ ცნობით, რევოლიუციის დაწყებიდან ხაკმაოდ გამოაშკარავდა წოდებათა სიმპატიები. მაღალი წოდება თანაუგრძნობს დროებით მთავრობას, დაბალი კი—მუშათა დეპუტატთა საბჭოს. სამშობლოს ხაკეთილდღეოდ საჭიროა ორივე მხარის წარმომადგენლები, მთავრობა უფრო ცალმხრივი, ბურჟუაზიულ-ლიბერალური გამოდგა და ხალხის ნდობა ვერ დაიმსახურა. საჭიროა საქმის კეთილად წასამართავად კოალიციონური სამინისტროს დაარსებაო.

—

ეურნალისტთან საუბარში მოკავშირეთა ელჩებმა განაცხადე': არავის არ დაუტანებია ძალა დროებითი მთავრობის მიმხრობაზე და არავითარი საქმე არა გვაქვს უკანასკნელ ნოტასთანო.

—

მარინის სახლის მოედანზე მილიუკოვმა, სხვათა შორის განაცხადა: „თქვენ შეგიძლიათ სიკვდილით დამსაჯოთ, მაგრამ მე არ დაგითმობთ მას, რაც საგარეო საქმეთა მინისტრის საქმეს შეადგენსო. დაე პირში მიძახონ: ძირს მილიუკოვიო!“ მე ის მილიუკოვი ვარ, რომელმაც ამხილა შტიურმერი და რომელიც წინააღუდგა სეპარატიულ ზავს. ჩემთვის ერთია: ცოცხალი ვიყო თუ მკვდარი! ხოლო არა მსურს, რომ რუსეთი სირცხვილით შეიმოსოს. ბრბომ უპასუხა! გვჯერა! გაუმარჯოს მილიუკოვს!..

—

პეტროგრადში საღამოობით, როდესაც დიდი ხროლა იყო, მრავალი ხალხი სინემატოგრაფებში და ყავა-ხანებში შეცვივდა თავის შესაფარებლად. დაჭრილთა შორის არიან—სტუდენტები, მოწაფეები, მუშები და ხალდათები. საერთოდ სროლა 60 ჯერ განმეორდა.

—

პეტროგრადი მოწმე გახდა დიდი ამბებისა. სროლა ქუჩებზე განმეორდა რამოდენიმეჯერ. მანიფესტაციის ცენტრი იყო მარინის სასახლე, აქ უმთავრესად იმართებოდა მიტინგები ახალი მთავრობის მომხრეებისა. ორატორებათ გამოდიოდენ მინისტრების თანაშემწენი: გრიმი, ზარუდნი და სხვ. მრავალ რიცხოვანი ხალხი მივიდა ავადმყოფ გუჩკოვის ბინასთან და სთხოვა მინისტრი ქანდარაზე გამოსულიყო. მინისტრი გამოვიდა და ხალხს მოუწოდა შინაურ მტრებთან საბრძოლველათ, რომელიც მტრობას თესავს ხალხს და ახალი მთავრობის შუა.

—

ბრუსილოვი აცხადებს, რომ გერმანელი აგენტები არ ყოს საშუალებით აცდენენ რუსის მხედრობას და პროკლამაციებს ავრცელებინებენო.

ახალი ამბავი

— თ. ჟორდანიას ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი. კვირას, აპრილის 23-ს დიდუბის ტაძარში გადახდილ იქმნა ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ ისტორიკოს-არქეოლოგის თევდორე დავითის ძის ჟორდანიას სულის მოსახსენებლად. მწირველი ბრძანდებოდა გორის ეპისკოპოსი ანტონი ქართველ სამღვდელოების თანადასწრებით. წირვის შემდეგ განვლენებულის საფლავზე, ქართველ მოღვაწეთა პანთეონში, გადახდილ იქმნა პანაშვიდი. მიუხედავად კოკისპირულის წვიმისა, პანაშვიდს ბევრი ხალხი დაესწრო. იყვნენ ყოველ სამღვდელო კირიონი, წარმომადგენელნი კულტურულ საზოგადოებათა და სხვ. წირვაზე მწირველ სამღვდელოების გარდა პანაშვიდზე შეიმოსა არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია). პანაშვიდზე ყოველ სამღვდელო ანტონიმ გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც დაახასიათა თანამედროვე მომენტი და განსვენებულ თ. ჟორდანიას ღვაწლი ამ მომენტის შექმნის საქმეში. მოიგონა, როგორც მოწაფემ, განსვენებულის მოღვაწეობა თბილისის სასულიერო სემინარიაში, მისი ცდა მოწაფეებში ეროვნულ გრძნობის გაღვიძება-განვითარებისა. სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელებზე.

— სემინარიელთა კრება 18 აპრილს სასულიერო სემინარიის ძველ შენობაში მოხდა სემინარიელთა კრება. კრებას დაესწრნენ დელეგატები ყველა პროვინციებიდან. კრებამ იქონია რა მსჯელობა სემინარიის მიმდინარე საქმეებზე ავტოკეფალის გამოცხადების შემდეგ და საერთოდ მასწავლებელთა „მოღვაწეობაზე“ (რუსიფიკაცია უმთავრესად) დაადგინა შემდეგი: ა) გაეგზავნოს სამი კაცი სრულიად საქართველოს კათალიკოსის მოსაყდრე ლეონიდეს ეპისკოპოზს გურია-ოდიშისას, რათა სემინარიელთა სახელით მიესალმნენ და გამოუცხადონ მათი აღტაცება მრავალ ტანჯულ ივერიის ეკლესიის განთავისუფლების გამო; ბ) გადაყენებულ იქმნას შემდეგი ხუთი მასწავლებელი: ინსპექტორი ბეკლემიშევი, ტიხვინსკი, მურანოვსკი, ნალპანისი და ანტონ ბერი. ამის შესახებ კრებამ გამოიტანა შესაფერი რეზოლიუცია, რომელიც დეპეშით ეცნობა სინოდის ობერ პროკურორს ლვოვს; ასეი გადაეცა საეკლესიო საქმეების მოსაწესრიგებლად პეტროგრადიდან ჩამოსულ პროფ. ბენეშევიჩს; ვ) ბოლოს არჩეულ იქმნა რვა კაციანი კომიტეტი, რომელიც კრებამ აღჭურვა სრულის ნდობით და დაავალა იმოქმედოს სემინარიელთა სახელით.

— ხაალხო სახლი. დღეს, საღამოს, სახ. სახლ. არს. ქართ. წარმ. მმართველ წრის მიერ ალ. იმედაშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება შილლერის ტრაღედია „ყაჩაღები“. ადგილების ფასი სახალხოა. დასაწყისი საღამოს $8^1/_4$ საათზე.

— ავლაბრის ხაზოგადო კლუბი. გადაკეთებულ იქმნა ინტერნაციონალურ სარევოლიუციო დემოკრატიულ კლუბად.

— დაატუსაღეს, თანახმად თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებისა, თბილისის პ რველი უბნის პოლიციის ნაბოქაულარი მოვლა-ზადე და მეტეხის ციხეში გაგზავნეს.

— თბილისის ჯარისკაცთა საბჭოს შემადგენლობა. თბილისის ჯარისკაცთა საბჭო შედგება 49 კაცისაგან, რომელთა შორის 5 ქართველია: ვლადიმერ ჯუღელი, სერგო ქავთარაძე, ფრიგოლ ღომთათაძე, ვიქტორ ნაცვალოვი, ვალერიან მერაბიძე და ი. ქარცივაძე. ამათში სამი წარმომადგენელია თბილისის მუშათა საბჭოსი, ხოლო ორი თბილისში მყოფ ჯართა ნაწილებისა. საბჭოს თავმჯდომარეა ჯარისკაცი ვერეშჩაგინი, მისი ამხანაგი ჯარისკაცი მოროზოვი, მდივნებათ კუზნეცოვი და ქარცივაძე.

— ეპისკოპოზი კირიონი. როგორც ამბობენ, ეპისკ. კირიონმა უარი განაცხადა პეტროგრადის მიტროპოლიტის თანამდებობაზედ. ეპისკოპოსი არმაზის მონასტერში დაბინავებას აპირებს.

— ქუთ. სასულიერო ეპარქიის გამგე. ქუთაისის სასულიერო ეპარქიის გამგეთ დაინიშნა მოწამეთის მონასტრის წინამძღოლი არქიმანდრიტი ნესტორი.

— სოც.-ფედერალისტთა კონფერენცია. სოციალ-ფედერალისტთა პარტიის კონფერენცია, რომელიც 29 აპრილისათვის იყო დანიშნული 7 მაისისათვის გადაიდო.

— საქალაქო არჩევნები. პეტროგრადიდან უკვე მოვიდა მომავალ საქალაქო არჩევნების სქემა. ამ სქემით თბილისის ცენტრალურ საბჭოში 120 ხმოსანი იქნება. არჩევნებში ადგილობრივი გარნიზონის ჯარისკაცნიც მიიღებენ მონაწილეობას.

— აღმასრულებელ კომიტეტთა ურთიერთობის დამოკიდებულება. ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა განკარგულება გამოსცა, რომ ყველა ადგილობრივ კომიტეტების განსაჩივრება შეიძლება საგუბერნიო კომიტეტში, რომელსაც უფლება აქვს საჩივარი უარჰყოს, ან დააკმაყოფილოს.

— ახალციხელთა პროტესტი თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის გადაწყვეტილების გამო. თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის გადაწყვეტილების გამო, რომლითაც იგი არ სცნობდა ახალციხის აღმასრულებელ კომიტეტს, იქაურ მაჰმადიანთა, სომეხთა და ქართველთა დელეგატების წარმომადგენლებმა საპროტესტო დეპეშა გაუგზავნეს ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარეს ხარლამოვს, რომელშიდაც ისინი აცხადებენ, რომ თბილისის კომიტეტის გადაწყვეტილება 60 ათას მაჰმადიანი და 9 ათას სომეხ მცხოვრებთა ნების უარყოფაა. ღრმად აღშფოთებულნი მაჰმადიანები და მათთან ერთად სხვა ერთა წარმომადგენლები არა სცნობენ უფლებამოსილათ თფილისის კომიტეტს და მის გადაწყვეტილებას არ მიიღებენ. 13 აპრილს ღამით მაჰმადიან მცხოვრებთ თავს დაეცენ და მათ სახლებს თოფები დაუშინეს. სამაზრო კომიტეტმა ადგილობრივ გარნიზონის წარმომადგენლებთან ერთად განიხილა ეს ფაქტი და პროვოკაციის შედეგად ჩასთვალა. მაჰმადიანები კი შეარაღებულ შეტევების გამოწვევის სურვილს ხედავენ და ითხოვენ ბოლო მოეღოს ამ პროვოკაციებს და მასთან ქალაქი გამოყოფილ იქმნას მაზრიდან.

— ახალი გაზეთი. ქართველ ხელმძღვანელთა კავშირმა, რომელშიაც წევრობად ირიცხებიან ჩვენში არსებულ ყველა პარტიის მიმდევარნი, გადაწყვიტა გამოსცეს მაისის 1-დან საკუთარი გაზეთი, რომელსაც ერქმევა „ჯარის კაცი“.

— სილ. გაზეთმა გაუწერა: 1 სოფ. ბანძის სამკითხველოს გაზეთები „საქართველო“, „სახალხო ფურცელი“, „ერთობა“ ‌და „ვოზროჟდენიე“, 2) სოფ. ონოღიის სამკითხველოს—„საქართველო“, „ერთობა“ და „ხალხის თავისუფლება“.

თანამოაზრე ახალგაზდოგის საუურადღებოთ

ქუთაისის ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის მოსწავლე ახალგაზდობამ გადასწყვიტა მოიწვიოს 25 აპრილს სრულიად საქართველოს თანამოაზრეთა პარტიული კონფერენცია. ყრილობაზე მონაწილეობას მიიღებენ საშუალო სასწავლებლის მოსწავლეები და სტუდენტები! [illegible] ქალაქისა. დელეგატთა [illegible] მოსწავლეთათვის უკვე გამოცხადებულია. რ ც შეეხება სტუდენტებს, მათ დელეგატები არ სჭირიათ: ვინც კი მუშაობდა პარტიულ ორგანიზაციაში, ყველა დაუყონებლივ უნდა ჩამოვიდეს. კონფერენციის მომწყობთ აზრად აქვთ მოხდეს თანამოაზრე ახალგაზრდობის ძალთა საბოლოო მობილიზაცია იდეური დისციპლინის დასამყარებლად და წარსდგეს უფრ ისი ამხანაგების მომავალ კონფერენციაზე საკუთარი მოხსენებებით. მაშ, ნუ დააყოვნებთ ამხანაგებო!

კავკასიის ფრონტის ყარილობა

მომადგანელ. ყრილობა

23 მარტს დილის 10 ნახ. საათზე ეფიმოვების ცირკში დაიწყო კავკასიის ფრონტის წარმომადგენელთა ყრილობა. ყრილობას დაესწრო 1300-მდე დელეგატი, წარმომადგენლები სხვა და სხვა ორგანიზაციებისა, ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის წევრნი აკ. ჩხენკელი, ვ. ხარლამოვი, ჯაფაროვი, პაპაჯანოვი, გენერალი იუდენიჩი და სხ. კრება გახსნეს ჯარისკაცთა აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარემ **ვერეშჩაკმა** და მუშათა დეპუტატების აღმასრულებელ კომიტეტის წევრმა **იხ. რამოშვილმა.** შერეშჩოკმა მიულოცა კრებას ჯ.-კ. აღმასრულებელ კომიტეტის სახელით და შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა, სადაც აღნიშნა, რომ კავკასიის არმიის და მათი დელეგატების შრომა და გადაწყვეტილებანი უნდა გამომდინარეობდეს მთელი რუსეთის დემოკრატიის, მუშა ხალხის ინტერესებიდან, ვინაიდან ჯარის კაცი იგივე მუშაა, მხოლოთ დროებით, ფარაჯაშია გახვეული; მოუწოდა მათ მტკიცე გაერთიანებისაკენ, რათა ყველა მათგანს ამოქმედებდეს ერთი მიზანი: რევოლიუციის განმტკიცება და დემოკრატიის ინტერესების გამეფება. შემდეგ ილაპარაკა **იხ. რამიშვილმა,** იგი მიესალმა კრებას მუშათა დეპუტატების აღმასრულებელ კომიტეტის სახელით და ვრცელი სიტყვით განმარტა არმიის მნიშვნელობა დღევანდელ რევოლიუციაში; აღნიშნა, რომ არმია მტკიცედ ჩაბმულია რევოლიუციაში და მის დამთავრებაშიაც გადამწყვეტი მნიშვნელობა მასა აქვ; ამასთანავე ორატორი მოუწოდებს კრებას, რომ ყრილობის მიზანს უნდა შეადგენდეს განმტკიცება იმ აზრისა და მიზნისა, რომ უახლოეს დროში მოხდეს საპატიო ზავი, და რევოლიუციის დ გვირგვინება, რისთვისაც აუცილებელად საჭიროა გაერთიანება მთელი არმიისა და მტკიცე ორგანიზაციების შექმნა. რამიშვილს შემდეგ მიესალმა პეტროგრადის სათათბიროში მომუშავე ს.-დემოკრატიული ფრაქციის ტ სახელმწიფო სათათბიროს სახელით აკ ჩხენკელი. მან ილაპარაკა ფრაქციის შესახებ დღიდან ომის დაწყებისა. აღნიშნა, რომ ფრაქცია ყოველთვის მოწინააღმდეგე იყო ხალხის განმანადგურებელ ომისა, მაგრამ მას არ აძლევდენ უფლებას არა თუ მონაწილეობა მიეღო ხალხის სვე-ბედის გადაწყვეტაში, არამედ წაართვეს ლაპარაკის უფლებაც კი. მთავრობამ ომი თითქოს ხალხის ინტერესების დასაცავად დაიწყო, ნამდვილად კი პირადი ინტერესები უფრო ამოქმედებდა. ომის დაწყებაში მთავრობა ხალხის სურვილებს არასდროს არ უწევდა ანგარიშს, და ხალხმა ხშირად არც იცოდა, რომ იგი ბურჟუაზიის გასაძლიერებლად იბრძოდა. ჩვენი ფრაქცია მოაცილეს სათათბიროს, მაგრამ მან თამამად აღიარა: ომი დაიწყო მთავრობამ, მაგრამ დემოკრატია დაამთავრებსო და დღეს ვხედავთ, რომ ეს სიტყვები მართლდება. შემდეგ შეეხო ფრონტსა და ზურგსა და აღნიშნა, რომ მათი ურთ-ერთი დამოკიდებულება თავდებია ომის სასურველათ დამთავრებისა; ძველი მთავრობის დროს ფრონტმა არ იცოდა, თუ რა ხდებოდა ზურგში და ზურგმაც არ იცოდა, რომ ფრონტზე უსურსათოდ და უმასალოდ მეტი ნადგურდებოდა. თქვენ გაწევთ დიდი მოვალეობა, თქვენ უნდა გაერთიანოთ ფრონტი და ზურგი და ამასთანავე უნდა აწარმოვოთ სამხედრო მოქმედება ფრონტზე და პოლიტიკური შინ. თქვენზე დიდ იმედებს ამყარებს რუსეთის დემოკრატია, მუშა ხალხი და გლეხობა, რომელზედაც დამყარებულია რუსეთის მომავალი ბედი; მოუთმენლად ელიან თქვენს გადაწყვეტილებას, და იმედოვნებენ, რომ თქვენი ხმა გამოძახილს ჰპოვებს რუსეთის დემოკრატიაში. ამასთანავე ორატორმა აღნიშნა საჭიროება მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოების ერთი აღ-

მასრულებელი ორგანოს შექმნისა და მოუწოდა კრებას მტკიცე გაერთიანებისადმი საერთო მიზნისათვის. ლაპარაკის დროს ხანგრძლივი ტაშის ცემით აჯილდოვებდნენ, და სიტყვის გათავების შემდეგ არჩეული იქმნა კრების საპატიო თავმჯდომარედ. კრებამ გადასწყვიტა გაეგზავნოს პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების სამჭოს შემდეგი შინაარსის დეპეშა: კავკასიის ფრონტის წარმომადგენელთა ყრილობა მიესალმება პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს, როგორც რევოლიუციის მთავარ ორგანიზაციას, და სწამს, რომ იგი შესძლებს მიზნების განმტკიცებას, თვალყურს ადევნებს დროებით მთავრობის ყოველ ნაბიჯს, დაადგენინოს რევოლიუცია და ცხოვრება დემოკრატიულ ნიადაგზე გარდაქმნას. ამ მძიმე ბრძოლაში კავკასიის არმია მასთან ერთად იმოქმედებს.

შემდეგ ილაპარაკა თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს სახელით ნ. **ორდანიამ.** იგი შეეხო მუშათა და ჯარის საერთო მოქმედებას და მათს მნიშვნელობას დღევანდელ რევოლიუციაში, და მოუწოდა არმიას მუშა ხალხთან მტკიცეთ შეერთებისკენ. რადგან ინტერესები მათი ერთნაირია.

ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის სახელით ილაპარაკა **ხარლამოვმა** და აღნიშნა, რომ არც ერთ რევოლიუციის დროს ჯარი და ხალხი ისე არ გაერთიანებულა, როგორც დღეს, რუსეთის დიდ რევოლიუციაშიო, ამიტომ დაემხო სულთამხუთავი მთავრობა და ჯარისკაციც გახდა თავისუფალი მოქალაქეო. ამასთანავე მოუწოდა მათ, რომ მხარი დაუჭირონ დროებით მთავრობას დამფუძნებელ კრებამდე, და გაერთიანდნენ უფრო მტკიცედ ერთი არმიის შესაქმნელად და საერთო მიზნის მისაღწევად. კრებას მიესალმა აგრედვე გენერალი **იუდენიჩი** და უსურვა მას ნაყოფიერი მოქმედება. შემდეგ ილაპარაკეს პაპოვმა ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის სახელით, ხატისოვმა ქალაქის თვითმართველობის სახელით, ლომთათიძემ (რუსეთის სოც.-დემოკრატიული პარტიის თბილ. ორგანიზაციის წარმომადგენელია), ლებედევმა (სოც. რევოლიუციონერების სახელით), შ. მესხიშვილმა (ქართველ სოც.-ფედერალისტთა სახელით), ოგანიანცმა (დაშნაკცუტუნის სახელით). რუსეთის გლეხთა კავშირის წარმომადგენელმა ნერუჩმა აღნიშნა გლეხთა უმწეო მდგომარეობა და იმედი გამოსთქვა, რომ კრება ისეთ გადაწყვეტილებას დაადგეს მიწის საკითხის შესახებ, რაც გლეხთა ინტერესებს შეეფერება.

ნერუჩი არჩეული იქმნა კრების საპატიო თავმჯდომარედ. შემდეგ ილაპარაკეს **ანოროვმა,** კონსტიტუციონურ დემოკრატიული პარტიის სახელით; მოხუცმა **ცერცვაძემ** (ქალაქთა კავშირის სახელით). ცერცვაძეც კრების საპატიო თავმჯდომარედ იქნა არჩეული. უკანასკნელად ილაპარაკა რუსეთის სოციალისტურ პრესის წარმომადგენელმა **ნაროდნიმ** და აღნიშნა რომ სოციალისტური პრესა რუსეთში შებორკილი იყო ძველი მთავრობისგან, მაგრამ სოციალისტურმა მოძღვრებამ მაინც გაიდგა ფეხი და მალე დაგვირგვინდებაო.

შემდეგ კრებამ გადასწყვიტა მისასალმებელი დეპეშა გაეგზავნოს იუსტიციის მინისტრს კერენსკის, პეტროგრადის მუშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარეს ჩხეიძეს და დროებით მთავრობას. პრეზიდიუმის არჩევა მეორე დღისთვის გადიდო. კრება დაიშალა დღის სამ საათზე.

თბ. წვრილ ვაჭარ. კავშ. წევრთა კრება

23 აპრილს, დილის 10 საათზე, „ახალი კლუბი“-ს საზაფხულო ბინაზე დანიშნული იყო თბილისის წვრილ ვაჭართა კავშირის წევრთა კრება. 11 ნახ. საათზე, როგორც იქმნა, მოგროვდა 66 კაცი. კრების თავმჯდომარედ აირჩიეს მ. გაჟონია, ხოლო მდივნად ვ. ენუქიძე. კრების საგანს შეადგენდა: 1) გადაწყვეტა საკითხისა, თუ როგორი ორგანიზაციის შექმნაა საჭირო ეხლანდელ დროს შესაფერისად და სამოქმედოდ და 2) განახლება კავშირის კომიტეტისა. ვინაიდან კრება მცირერიცხოვანი იყო, გადაწყვეტილ იქმნა, რომ დიდი კრება შემდეგ მოიწვიონ. ეხლა კრებამ საჭიროდ სცნო, რომ არსებულ კომიტეტს 7 წევრი მიჰმატებოდა და აირჩია შემდეგი პირნი: მილიაძე, ნეფარიძე, ს. კიკნაძე, საფაროვი, გაბ. თოროზოვი, მირზოევი და მ. გაჟონია. ეს შვიდი კაცი დაემატა ძველ გამგეობის ხუთ კაცს: ი. მერკვილაძე, ას. კალანდაძე, ვას. კიკნაძე, ნიკ. ენუქიძე და ხახუტაშვილი.

კრების დაშლის შემდეგ კომიტეტმა გამართა თათბირი და შემდეგი დადგინილებანი გამოიტანა: 1) არჩეულ იქმნას უბნების კომიტეტები ისე რომ ორ-ორ უბნიდან თითო კომიტეტში შედიოდეს არა უმეტეს 10 კაცისა; 2) უბნების კომიტეტები ირჩევენ ერთ მთავარ კომიტეტს; 3) ეხლანდელი კომიტეტი საქმეებს უძღვება დროებით, ახალი კომიტეტის არჩევამდე; 4) უბნების არჩევნებს ხელმძღვანელობენ მთავარი კომიტეტის წევრები; 5) პირველ და მეორე უნებში კომიტეტის ასარჩევად კრება მოხდეს მომავალ კვირას, აპრილის 30.

კავკასიის მაჰმადიანთა ყრილობა

წერილი ბაქოდან.

ყრილობას თანდათან ემატებიან ახლად ჩამოსული დელეგატები. დარბაზი ისევე სავსეა, როგორც პირველ სხდომის დროს. მაჰმადიანი ქალები ჩადრ ახ ნილი სხედან ქანდრებზედ.

ბუხარის მაჰმადიანთა საკითხს ეხება **რახელ-ზადე** და ასურათებს იმ აუტანელ მდგომარეობას, რომელშიაც ძველი სამეფო რეჟიმი აღმოსავლეთის ერებს აყენებდა.

ახუნდი მოლლა ფანაყული მოითხოვს მაჰმადიან ქალთა დაუყოვნებლივ განთავისუფლებას საუკუნოებრივი მონობისა და უვიცობისაგან.

იბრაგიმოვის აზრით ყრილობის ყოველ დელეგატს, რა პარტიასაც იგი უნდა ეკუთვნოდეს, უნდა ახსოვდეს, რომ უპირველეს ყოვლისა ის თურქია და ამიტომ უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს კავკასიის მაჰმადიანთა ეროვნულ საკითხის გარდაწყვეტას. და არამც თუ თქვენ, ამბობს ორატორი, არამედ ცივ ჩრდილოეთის თათრებიც კი მედგრად შეუდგნენ თავის ეროვნების დაცვასაო.

ხ. ბ. აგაევი აღნიშნავს ყრილობის მნიშვნელობას და ყველა შეკრებილთა მოვალეობად სთვლის გამოიკვლიონ კავკასიის მაჰმადიანთა ეროვნულ-კულტურული თვითგამორკვევის სწორი საშუალებანი. დიდი აღფოთება გამოიწვია ყოფილ საგუბერნიო კაზის **მამედ ყერიმის** გამოსვლამ, რომელმაც მაჰმადიან ქალთა განთავისუფლების წინააღმდეგ გაილაშქრა ტ ამტკიცებდა, რომ ჩადრ-ახსნილი ქალის საჯაროთ გამოსვლა მარიათის ძირითად დოლმატებს ეწინააღმდეგებაო.

მთელი დარბაზი ორატორის გაძევებას ითხოვს, მაგრამ იგი მაინც თავგასას არ იშლის. თავმჯდომარე დასამშვიდებლად დროებით კრებას სწყვეტს.

ყრილობას ესალმება აღმოსავლეთის ენების პროფესორი, დაღესტნის წარმომადგენელი რ. ს. კაპლანოვი, რომელიც ამბობს, რომ ოსები ყაბარილო, ყუმიხები, ჩაჩნები და ბულგარები ძმურ გრძნობებს უთვლიან კავკასიის მაჰმადიანთ, და რომ მათ აკრთებს არა მარტო რელიგიური ერთობა, არამედ პოლიტიკური და მორალურ-ემოციონალურიო.

თავმჯდომარე წინადადებას იძლევა გამოიყოს 5 კომისია იმ მასალათა განსახილველად, რომელნიც ყრილობის საპროგრამო მუშაობას შეეხება.

მუშათა და გლეხთა წარმომადგენლები ითხოვენ მუშათა და აგრარულ საკითხის გამოსარკვევად მოეწყოს განსაკუთრებული კომისიები. ამ საკითხმა ცხარე კამათი გამოიწვია. მუშები და გლეხები თავის მოთხოვნილებას ასაბუთებენ იმით, რომ მაჰმადიან მუშათა და გლეხთა საკითხს მარტო სოციალ-კლასობრივი ხასიათი არა აქვს, არამედ მჭიდროთ არის დაკავშირებული მაჰმადიანთა ეროვნულ პოლიტიკის საკითხთანაო.

გადასწყდა მოეწყოს განსაკუთრებული კომისიები მუშათა და გლეხთა საკითხის გამოსარკვევათ. ამის შემდეგ ცალკე მოხსენებებით, კავკასიის პოლიტიკურ წყობილების შესახებ, გამოვიდნენ **რასულ ზადე** და **ი. მ. გაიდამოვი.**

პირველის მოხსენებას საფუძვლად უდევს ფედერაციის იდეა. ფედერიაციის საფუძვლად, ორატორის აზრით, უნდა იქმნეს აღიარებული ეტნოგრაფიული საზომი: ენა, როგორც ყველაზედ უფრო მარტივი და ბუნებრივი და მასთან უძლიერესი კულტურულ-ისტორიული ფაქტორი. მომხსენებელი შემდეგ დებულებებს აყენებს: ყოველ კერძო ეტნოგრაფიულ ჯგუფს უნდა მიეცეს უფლება თავის ეროვნული თვითგამორკვევისა და ამისთვის ყოველი ასეთი ჯგუფი თავისუფალი უნდა იყოს არა მარტო ენისა და სარწმუნოების მხრით, არამედ საკუთარ ცხოვრებაში პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მართველობის წესის დამყარების თავისუფლებაც უნდა ჰქონდეს. ამ რიგად ყოველ ჯგუფს, რომელიც საერთო რუსეთის ერთა კავშირში შევა, შეძლებაც ექნება ცალკე კავშირიც კი იქონიოს ამა თუ იმ ერთან; მაგალითად: კანტონებს, თურქესტანს, თათრისტანს, ყირგიზისტანს და ადერბეიჯანს შეეძლებათ თურქო-თათართა კავშირი შეჰკრან.

ისლამის მორწმუნე ერთ კი, თავის საერთო სარწმუნოებრივ საქმეთა მოსაწყობად, შეუძლიანთ შეერთდენ საერთო მაჰმადიანთ კავშირში; ამ გვარად, ერთგვარი შეთანხმებული მუშაობა შეუძლიათ დაამყარონ ცალკე ეროვნებებმა და კანტონებმა: დაღესტანმა, ქურთისტანმა და აშარამ.

მეორე მომხსენებელი გაიდაროვი იცავდა დებულებას, რომ რუსეთში უნდა დამყარდეს ერთა დემოკრატიული რესპუბლიკა ტერიტორიალურსა და კულტურულ-სამეურნეო ფედერაციის საფუძველზედ.

კრება მეორე დღისათვის გადაიდო.

თუშ-ფშავ ხევსურთა თხოვნა

მკითხველს ეხსომება, რომ განსაკუთრებულმა პირობებმა, თუშნი, ფშავნი და ხევსურნი აიძულა მიემართათ ჯერ კიდევ ძველი მთავრობისათვის—რათა გაენთავისუფლებინათ ისინი სამხედრო ბეგრისაგან. იქამდის სამართლიანი და საბუთიანი იყო მათი თხოვნა, რომ ძველმა მთავრობამაც კი დასტური დასცა მათ თხოვნას, კითხვას ეხლა ერთნაირი ხასიათი მიეცა. საჭირო გახდა შუამდგომლობის განმეორება. გუშინ თუშ-ფშავ ხევსურთა წარმომადგენლებმა კვლავ მიართვეს ასეთი თხოვნა:

„ჯერ კიდევ 1916 წლის გაზაფხულზედ ჩვენმა წარმომადგენლებმა მიმართეს ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარ გამგეობას—აღეძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე ჩვენთვის სამხედრო ბეგარის შემსუბუქების შესახებ. ვთხოულობდით 1 და 2 წყების (წითელ და ლურჯ-ბილეთიანის) განთავისუფლებას. ჩვენ თხოვნას ვასაბუთებდით ჩვენი უნუგეშო მდგომარეობით. მთიანი ადგილები, საცა კი ხვნა-თესვას ვეწევით, მოითხოვს განსაკუთრებით ვაჟკაცის ჯაფას. ხვნა, ფარცხვა, შეშისა და თივა-ძნის გადმოტანა და სანოვაგის ბარიდან მთაში ბილიკებით აზიდვა. ეს სულ ვაჟკაცის ზურგითა ხდება. საქონლის მოვლა-მოშენება, მათი მიყოლა, ადგილნაცვლობა, ნადირის თუ ბოროტის თვალის აშორება—ეს სულ იმავე ვაჟკაცის მუხლზე და მკლავზე არის დამოკიდებული. მოხუცი და დაგრდომილი გამოსადეგარი და შემომქმედი ძალა არ არის ჩვენს-მეურნეობაში. საშინელი თოვლი და სრული უგზოობა, რომლებიც ადგილ 7—8 თვით ჭკრავენ ხბარეს, ხომ უფრო აუცილებელს ხდის ჯიელ ძალას ჩვენი ქვეყნისათვის. ამიტომ იყო, რომ ომის გამოცხადებიდან წავიდა თუ არა ერთი თუ ორი თაობა—ჩვენ ცხოვრებას საშინლად დაეტყო მათი წასვლა. ზედ მეორე უბედურობაც დაგვერთო: ქისტების რაზმებმა იხელთეს დრო და გააჩაღეს თავდასხმა. ჩვენი ქვეყანა პირდაპირ საშუალო საუკუნეთა ომების ასპარეზად გახადეს. მიუდიოდათ მთელი ფარები, ძაცრავდენ სახლებს, ხოცამდენ ხალხს. მოგვესპო მყუდრო და მშვიდი ცხოვრება, დოვლათი და ქონება ჩვენი ნიავდება, სიცოცხლე ჩვენი განსაცდელს განიცდის დღესაც. საუკუნოებრივმა ჩვეულებამ, მოსისხლეობამ, უფრო გაამწვავა მდგომარეობა. ამ საშინელმა ვითარებამ სიმწვავით დასვა საკითხი არსებობისა და სამხედრო ბეგარისაგან ბევრი ჩვენგანი უკან დააყენა. საქველმოქმედო საზოგადოებამ ყველაფერი ეს გამოიძია და დასაბუთებული მოხსენებით წარსდგა მთავრობის წინაშე. (მოხსენებას ამასთანავე გაახლებთ.) ყოფილი მეფის ნაცვალი შევიდა ჩვენს მდგომარეობაში და თხოვნაზე დასტური დაგვცა. მის სამხედრო თანაშემწეს, გენ. იანუშკევიჩს, დავალებული ჰქონდა საქველმოქმედო საზოგადოების წარმომადგენელთან ერთად შეემუშავებინა პირობანი, რომლითაც უნდა მომხდარიყო სამხედრო ბეგარისაგან ჩვენი განთავისუფლება. ასე იყო საქმე, როდესაც ძველი მეფე დაემხო და ახალი სახალხო წესები დამყარდა. ჩვენი ცხოვრება კი არ შეიცვალა. დარბევა-ხოცვას და უფრო საშიშ მუქარას ბოლო არ უჩანს. ახალი წესები ჯერ მტკიცეთ ვერ შესულან ცხოვრებაში და ვერ უჩვენებიათ თავისი ძალა მოთავრეშეთათვის. დროს მეტად ხელსაყრელად სთვლიან და უკვე სჩანს ნიშნები, რომ თოვლის აღებიდანვე შეუდგებიან ბოროტ განზრახვათა განხორციელებას. ვიცით რაც მოჰყვება შედეგათ. ან უნდა ავიყარნეთ, მაგრამ სად წავიდეთ, ან როგორ დავტოვოთ ამ საერთო ლხენის დროს, ურომლისოდაც ჩვენი სიცოცხლე წარმოუდგენელია, ან კომისარიატმა უნდა მოგვცეს საღსარი თავდაცვისა. მან უნდა მიიღოს მხედველობაში ჩვენი განსაკუთრებითი უნუგეშო ცხოვრება და თხოვნა შეგვისმინოს. ჩვენი თხოვნა კი შემდეგში მდგომარეს:

ა) დარჩეს ძალაში ძველი მთავრობის განკარგულება შესახებ ჩვენი ბეგრიდამ განთავისუფლებისა.

შექმნილ პირობათა წყალობით, ვინც კი უკან იყო დამდგარი სამხედრო ბეგარიდამ, ლურჯ, წითელ და თეთრ ბილეთებიანი, თუ სხვა წესის სამხედრო მობეგრენი იქნებიან იგინი, საქციელი უნდა ეპატიოთ მათ და ბეგარიდან განთავისუფლდენ სრულიად.

ბ) ჯერ კიდევ გაუწვევარი წითელ, ლურჯ და თეთრ ბილეთებიანი სრულიად განთავისუფლდენ ბეგრისაგან.

გ) განთავისუფლდეს ყველა ის ახალგაზდა, რომელსაც სამხედრო ბეგარა უწევს ამ ომის განმავლობაში.

დ) დაჭრილნი და დავრდომილნი, რომელნიც კი დროებით ავადმყოფობისა გამო დაუბრუნდებიან სახლს, თავისუფლდებოდენ სამხედრო ბეგარისგან.

ე) მოგვეცეს უფლება შევადგინოთ ჩვენი მილიცია უპირველეს ყოვლისა ყველა აქ მოთვლილ პირთაგან და მთავრობის ხელქვეითობით მოვახდენინოთ მათ ბეგარა ქვეყნისა და ხალხის წინაშე იქ, სადაც მოითხოვს მათთაგან, რომ ჩვენი მწარე ჭეშმარიტება, სახელმწიფო მთლიანობა და სამართალი და მოგვეცეს აგრეთვე იარაღი—სწორედ ისეთი, როგორითაც ბოროტთა ბრბოები არიან შეიარაღებულნი. ღმერთმა გვაშოროს ყოველივე ბოროტი განზრახვა, მაგრამ ეს კი ცხადია ჩვენთვის, რომ მხოლოდ ჩვენს შეიარაღებას შეუძლიან მრბეველთა შეჩერება და კეთილი განწყობილების დამყარება ჩვენთადმი, რომელიც ასე საჭიროა ჩვენთვის და აუცილებელია სახელმწიფო მშვიდობიანობისათვისაც. ეს ჩვენი თხოვნა მოითხოვს დაუყოვნებლივ გადაწყვეტას, რადგან ამ გაზაფხულის პირიდან იფანტება ჩვენი ვაჟ-კაცობა და ამ გაზაფხულის პირიდანვე იწყება მთისა, გზებისა და ბინების ზვერვა ბოროტთა მიერ. ამ თავითვე იქულებულნი ვართ, რომ არ დაგვენგრეს მეურნეობა და არ გაგვიქრეს კერა ცხოვრებისა,—ზოგი საზაფხულო საძოვარზე გავყვეთ ცხვარს, ზოგმა მთას მივაშუროთ საყარაულოთ. ასე დაფანტულნი ყოველივე ღონისძიებას ვიქნებით მოკლებულნი გამოვცხადდეთ იმ შემთხვევაში თუ მთავრობამ ეხლა გადაჭრილი პასუხი არ მოგვცა და შემდეგ კი მოგვიკითხა და ამიტომ ყოველივე პასუხის მგებლობას ვიხსნით თავიდამ. უფრო ძნელი იქნება მდგომარეობა თუ ვერ მოვასწარით მილიციის შეიარაღება და მოურიდებელი მტრისაგან ერთი თოფი მაინც გავარდა ჩვენი სახლის წინ, მაშინ შეიქმნება, და ვგონებთ ბუნებრივი და სამართლიანიც იქნება ეს, ისეთი განწყობილება ჩვენში, რომ ყოველი ჩვენგანი თავდაცვის კანონის ძალით—იფიქრებს მხოლოდ საკუთარ კერაზედ და გაუსწორდება მტერს ისე, როგორც საკუთარი გონება გაუჭრის. ეს კი საზარალო იქნება ჩვენთვისაც და ვგონებთ სახელმწიფოსათვისაც, რომლის წინაშე პირნათლად ვეწევით სამსახურს ჩვენი სამეურნეო შემოქმედებით (მატყლი ჯარისათვის) თუ პირადი სამსახურით.

დღეს მოსული ცნობით ეს ჩვენი მწარე ფიქრები უკვე მართლდებიან. ანდიის და თუშეთის საზღვარზე უკვე მომხდარა თავდასხმა. ბრძოლის ველზე მყოფ ჯარის კაცის, გრიგორ ბუქვაიძის და მისი ამხანაგების ცხვრები შეერთებული ერთ დიდ ფარად, მუშა ხელის ნაკლებობის გამო გაურეკნიათ ლეკებს. ეს კი რამდენიმე შეძლებული ოჯახის სრულს განადგურებას ნაშნავს.

ეს შემთხვევა გვაიძულებს დაბეჯითებით ვთხოვოთ კომისარიატს რაც შეიძლება მალე გამოარკვიოს ჩვენი საქმე. თვით ჩვენი მოცდენა ასეთ ლოდინში ერთ ნაირი დანაშაულია მათ წინაშე, საცა ასე საჭიროა ყოველივე ჩვენგანის ხელი.

ჩვენ გვჯერა და გვწამს, რომ კომისარიატი შეგა ჩვენს მდგომარეობაში და თხოვნას აგვისრულებს. წინაღმდეგ შემთხვევაში, ვსთხოვთ კომისარიატს თვითონ იკისროს ჩვენი ჯოგების და ფარების, ჩვენი ქონების და ჩვენი ოჯახების სხვა საშუალებით უზრუნველყოფა, რადგანაც მათი გაწვევით, ვის განთავისუფლებასაც მოვითხოვთ, ყველა ესენი უპატრონოთ რჩებიან“.

რედაქტორი **გრიგოლ ვეშაპიძე.**
გამომცემელი **ამხ. „საქართველო“.**

ექიმი კბილისა
ე. ივ. გალარჯაშვილი-მათეშვილისა
იღებს ავადმყოფებს:
დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.
ჩერქეზიშვილის და **რეუტოვის** ქუჩის კუთხე № 20.

დამტკიცებულ ექიმი ცინინისა
ბოსე ანანიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. **კადეტთა კორპუსისა.**
საგუშეთა, შინაგან და **ქირურგიულ** სნეულებებიან ავადმყოფებს მიიღებს ოდესას ქ. № 8.

ექიმი
ფონ-ირტელი
(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, **სახლი ოჰანეზოვისა**).
მოხეოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, **საშარდე** ბილისა, სქესობრივი ორგანოებისა, **სიფილისისა** და მის შედეგებისა (**საშარდე** ბილის დავიწროება), **სქესობრივი** უძლურებისა, **სიმსივნისა, ჭრილობისა,** ბუასილისა, **თეთრანასი, საშარდე** ბუშტის **სნეულებისა** და **საშვილოსნოსი.** ორივე სქესის **ავადმყოფების** მიღება ხდება დილის $9^1/_2$-დან 1 საათამდე და **ნაშუადღევის 5—9** საათამდე. **ერდენის „914“ და „606“**
შეშხაპუნება

ეძიება
ვოლ-ირტელი
(**ბოლოვის** ბროსპ. 128, **კრილოვის** ქუჩის **კუთხე, 1, შესავალი** **კრილოვის ქუჩიდან, სახლი** ოჰანეზოვისა).

ეიდება
ი ლ ი ნ ი ს ა
**ოდესაში ბ. ბ. ბ.